# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან პარასკევი, 17 ივლისი 1998 №123 (658) ფასი 40 თეთრი


# ყრილობას ჩაშლა ემუქრება

## აჭარამ უარი შემოთვალა

ფეხბურთის ფედერაციაში, წესით და რიგით, ბოლოჯერ იკრიბება ალმასკომი, ბოლოჯერ 24 ივლისამდე. არ არის გამორიცხული, ამჟამინდელი ალმასკომის წევრებისთვის ეს ბოლო საქმიანი შეკრება იყოს, რადგან არავინ უწყის, რა მოხდება ყრილობაზე, მაგრამ...

ჩვენ ყველანი რაღაც განსაკუთრებულს ველით. იმედით შევყურებთ ყრილობას, რომელმაც დასაბამი უნდა დაუდოს ქართული ფეხბურთის ხსნის ხანას.

ველით, მაგრამ ვაითუ ამაოდ...

ყრილობა შეიძლება არ ჩატარდეს. ყოველ შემთხვევაში, დიდი შანსია, 24 ივლისი ერთი ჩვეულებრივი დღე გამოდგეს და მეტი არაფერი. ასეც იყო მოსალოდნელი — უკანდიდატოდ დარჩენილი ფედერაცია ყველაფერს ილონებდა, დრო რომ მოეგო. ფედერაციამ კარტების გადაწყობა თავიდანვე დაიწყო. ძნელია, ასე ერთი ხელის მოსმით უტკბილესი ლუკმის დაკარგვა, ძნელია, უმუშევრობას და ძალაუფლების დაკნინებას შეეგუო.

სწორედ ამგვარი საშიშროების წინაშე დადგა ფედერაცია ჩივაძის უარის შემდეგ. ყველა პირობა არსებობდა, ოპოზიციას ემარჯვა. ალექსანდრე ჩივაძე — სახელი და პრესტიჟი, წარმატების გარანტი, ყველგან და ყველასთვის პატივცემული კაცი, აი, ვინ თქვა, არაო.

ფედერაცია ვერაფრით იპოვის მსგავს კანდიდატს. შინაურ აპარატში ჩივაძისნაირები არ არიან. ვითომ დავით კვინიკაძე და ნოდარ ანდრიაძე? მომიტევონ გენერალურმა მდივანმა და ვიცე-პრეზიდენტმა, მაგრამ სახელ-დიდებით ჩივაძეს ვერ გაეჯიბრებიან.

სამაგიეროდ, ფედერაციაში ჭკუა უჭრით საკმარისად. ახალი კანდიდატის ძიებას, მისთვის გარკვეული იმიჯის შექმნას, სულ მცირე, ორი თვე მაინც სჭირდებოდა. ორი თვე კი არა, ფედერაციას ორი კვირა არ დარჩენია.

ამიტომ იამანიძის №5-ში ყველასთვის გაშიფრული გზა ირჩეს. რადაც არ უნდა დაუჯდეთ, ყრილობა უნდა გადაავადონ. უკიდურეს შემთხვევაში, ჩაშალონ.

გადავადებას, ალბათ, ვერ მოახერხებენ. ამას ოპოზიცია არ დაუშვებს, რადგან მერე ის კოზირები დაეკარგება, ახლა რომ ხელთ უპყრია. ოპოზიციამ იცის, რომ დროის გაწელვა ფედერაციის წისქვილზე დაასხამს წყალს და ყველაფერს ილონებს, ყრილობა დადგენილ დღეს ჩატარდეს.

ფედერაციას თავის დასაძვრენად ყრილობის ჩაშლაღა დარჩენია.

დელეგატები რომ ყრილობას ბოიკოტს გამოუცხადებენ, ჩაიშლება, აბა, რა იქნება. ადრევე განაცხადა ნოდარ ანდრიაძემ, არ არის გამორიცხული, ასეთ სიტუაციაში დელეგატები ყრილობაზე არ ჩამოვიდნენო.

ფედერაციას იმდენი კი შეუძლია, დელეგატები დაიყოლიოს. რა თქმა უნდა, ყველას ვერ გადაიბირებს, მაგრამ უმრავლესობას გააჩერებს. ბოიკოტის პირველი მერცხლებიც გამოჩნდნენ. აჭარის დელეგაციას შემოუთვლია, ჩვენ ჩაწყობილ თამაშთან არაფერი გვესაქმება, დარჩენილ დროში თუ ყველაფერს დაალაგებთ, ხომ კარგი, თუ არა, თბილისში ჩამომსვლელები არა ვართო.

ფედერაციას უდიდესი გავლენა განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში აქვს, აჭარა იყო პირველი და დარწმუნებულები ბრძანდებოდეთ, უარს სამეგრელოს, გურიის და იმერეთის რეგიონებიც შემოთვლიან.

იხილეთ მეორე გვერდი

# აჩუქეთ მწვრთნელს ქულები

**აია 24:9 თსუ**

აია: 3ლ: ქობალია, ზიბზიბაძე, კოსტავა; 1ს: ბ. ხამაშურიძე; 3გ: აშვეთია, ნ. ძაგნიძე (2)

თსუ: 3ს: ი. მოდებაძე

„აიამ", რომ იქადნებოდა, თსუ-ს მაინც მოვუგებო, სიტყვა არ გატეხა და ჩემპიონატში პირველად დააქუხა „ვაშა, ვაშა!". ქუთაისელთა მთავარ მწვრთნელს ბათლომე ხამაშურიძეს გუშინ დაბადების დღე ჰქონდა, 44 წელი შეუსრულდა და ბიჭებმაც გაუმართლეს, 2 ქულა უსაჩუქრეს.

მაჩანჩალათა მატჩი საკმაოდ დაძაბული და საინტერესო გამოდგა. ქუთაისელთა რიგებში გამოცდილი იობიძის და აფრიდონიძის გამოჩენამ გუნდს საკუთარ ძალაში რწმენა შემატა და „აიამაც" შუტია. სტუმრები მაგრად დაუხვდნენ. მათი წინააღმდეგობის დასაძლევად მთელი ნახევარი საათი გახდა საჭირო. ქობალიამ ივარგა, პარტნიორებს გარჯა დაუფასა და მეტად ეფექტური ლელო გაიტანა, „ტომატამ" (აშვეთია) კი ზუსტად გარდასახა. შესვენებამდე მასპინძლებმა სამი საჯარიმო ვერ გამოიყენეს.

მეორე ტაიმში ცოტა აგრილდა და თამაშის ტემპმაც იმატა. მართალია, ირაკლი მოდებაძემ საჯარიმოთი ანგარიშში სხვაობა შეამცირა, მაგრამ ბესიკ ხამაშურიძემ ისევ ზუსტად დაარტყა ჯარიმა და შვიდქულიანი სხვაობა აღადგინა. მერე სტუდენტთა დამრტყმელმა კიდევ ორჯერ იმარჯვა, თუმცა ბოლო-ბოლო მაინც მასპინძლებმა იძალეს და ორჯერ შეიტანეს ბურთი თსუ-ს ლელოში. აღსანიშნავია, რომ ორივე ლელო ვეტერან გაბრიჩიძის სოლო გარღვევებს მოჰყვა. ნუგზარ ძაგნიძემაც გაგვახსენა თავი: ორჯერ მახვილი კუთხიდან ოსტატურად გარდასახა.

რას ნიშნავს ცოტაოდენი ყურადღებაც კი. ამ დღეებში ქუთაისელ მორაგბეებს საერთო ინსტიტუტში (რექტორი რობერტ გოლეთიანი), სადაც რამდენიმე მორაგბე უფასოდ სწავლობს, გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს, თანაც ევროპის ჩემპიონ ხამაშურიძეს და ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების წევრ ზიბზიბაძეს საჩუქრად მაჯის საათები გადასცეს.

**იუზა ძაციტაძე ქუთაისიდან**


მომდევნო სარბიელი გამოვა

სამშაბათს, 21 ივლისს

21 ივლისიდანვე სარბიელი გამოვა კვირაში ხუთჯერ: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს


ავთანდილ გურასაშვილი

მოსკოვიდან



გუშინ ახალგაზრდა იუგოსლაველი კალათბურთელები სიხარულით ცაში დაფრინავდნენ. თამაშის დამთავრებისთანავე ერთმანეთი ლამის ხვევნა-კოცნით გაგუდეს, მერე კი ერთიმეორის კისერზე ხტუნაობას ველარ გაუძლეს და დიდი ზედახორა მოაწყვეს.

ეტყობა, ისინი ქართველ კალათბურთელებთან იოლ გამარჯვებას არ ელოდნენ, ან სულაც შეფიქრიანებულნი იყვნენ, რადგან მათ შარშან ჩვენებს მხოლოდ დამატებით დროში სძლიეს. ახლა იუგოსლაველებს გამარჯვებისთვის შეხვედრის ძირითადი დროც ეყოთ. ისინი თავიდანვე დაწინაურდნენ და მეტოქეს ერთხელაც აღარ მისცეს ანგარიშის გათანაბრების საშუალება.

88:64 (53:59) ასეთი ანგარიშით დაამარცხეს მათ ჩვენი კალათბურთელები, ოღონდაც, ეს ანგარიში სრულიადაც არ მიუთითებს მატჩის დაძაბულობაზე, არადა, შეხვედრა მეტად საინტერესო და მიმზიდველი გამოდგა. საფინალო სასტვენამდე 7 წუთით ადრე ანგარიში ჩვენებმა 6 ქულამდე შეამცირეს, მაგრამ მეტი ველარ შეძლეს. ისინი აშკარად დაიღალნენ და ბოლომდე ველარ გაუძლეს დაძაბულ შეხვედრას.

# ოცნება ჩვენი და ამერიკული

— ამ ტურნირისათვის მომზადება მაინც ვერ მოვასწარით — გვეუბნება საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი ვაჟა მხეიძე — ძალა მხოლოდ სამი თამაშისთვის გვეყო და ამიტომაც წავაგეთ იუგოსლაველებთან. მიუხედავად ამისა, მოსკოვში მეოთხედფინალში თამაში მაინც წარმატებად მიმაჩნია, მით უმეტეს, რომ მანამდე მოვუგეთ ესპანელებსა და ჰოლანდიელებს, ბრაზილიელებთან კი მხოლოდ დამატებით დროში წავაგეთ მინიმალური სხვაობით. ვფიქრობ, რომ ის შეხვედრა ჩვენ უნდა მოგვეგო.

**— როგორ გგონიათ, იუგოსლაველებთან თუ შეიძლებოდა დღეს გამარჯვება?**

— რა თქმა უნდა, შეიძლებოდა!

**— მაშ რატომ დავმარცხდით?**

— პირველ ტაიმში თამაში ვერ ავაწყეთ. მერე კი დაღლილობით წავაგეთ. ამასთან, ჩვენ მერვედფინალური მატჩები სხვაგან ჩავატარეთ, იუგოსლაველები კი ყველა მატჩს აქ, ცსკა-ს დარბაზში მართავდნენ. ასე რომ, ისინი მასპინძლის როლში მოგვევლინნენ, ჩვენ კი უცხოდ ვგრძნობდით თავს. საერთოდ, თუ გვინდა, რომ მომავალში მნიშვნელოვან წარმატებებს მივაღწიოთ. ბევრი უნდა ვიშრომოთ ისევე, როგორც იუგოსლაველებმა. შარშან ჩვენს ბიჭებს მათთან თანაბრად უთამაშით. მას მერე იუგოსლაველებს ძალზე გაუუმჯობესებიათ მომზადების დონე, რადგან გუნდი ხანგრძლივად ემზადებოდა ამ შეჯიბრებისთვის, ჩვენ კი ორისამი შეკრებით ფონს ვერ გავალთ, არადა, კარგი, პერსპექტიული ბიჭები გვყავს.

**— მოსკოვში მოასპარეზე გუნდებიდან ყველაზე მეტად რომელი მოგწონთ?**

— ამერიკელების გუნდი. „დრიმ თიმის" გუნდივითა ჰყავთ. ამათგან დააყენებენ კიდეც „ოცნების გუნდს", რადგან კარგი ბიჭები არიან, მაღლებიც, ტექნიკურებიც და ფიზიკურადაც ჩინებულადაც მომზადებულნი. ალბათ ფინალში ამერიკელები და იუგოსლაველები ითამაშებენ.

**— ჩვენს გუნდზე კიდევ რისი თქმა შეიძლება?**

— კიდევ ვიბრძოლებთ და ალბათ მეხუთე ადგილზე გავალთ. ვნახოთ, თუმცა ჩვენი პირობების კვალობაზე რვა უძლიერეს გუნდში მოხვედრით კმაყოფილი ვარ.

ჩოგბურთელთა ტურნირში მეოთხედფინალში გავიდნენ მაკა ჩახნაშვილი და ირაკლი ლაბაძე. მაკამ უკრაინელ ოლგა ლაზარევას 6:4, 6:3 მოუგო, ირაკლიმ მექსიკელ გოლარდოს 7:5, 6:1. წყვილთა მერვედფინალში ჩახნაშვილი და თამარ ზედგენიძე 0:6, 2:6 დამარცხდნენ არგენტინელებთან კრუს ვანგსთან და ემილია სალერნო მარიასთან. ლაბაძემ და ირაკლი უშანგიშვილმა კი მოუგეს არაბთა წყვილს მუჰამედ აბდელ მოხეიმის და მუჰამედ მამოუგის.

# შუმახერი და ჰაკინენი: მრთი—მრთზე

## საუკუნის ორთარბოლა ბერლინის ცენტრში



მიხაელ შუმახერი



მიკა ჰაკინენი

მოგეხსენებათ, წლევანდელ სეზონში ფინელ მიკა ჰაკინენისა და გერმანელი მიხაელ შუმახერის ორთაბრძოლა უაღრესად დაძაბულია. ბოლო რბოლის შემდეგ კი ვითარებამ კულმინაციას მიაღწია და ამ ორ მრბოლს შორის განსხვავება სულ რაღაც 2 ქულამდე შემცირდა.

თუ აქამდე გერმანელის ქომაგნი ჩუმად იყვნენ და დიდებულად მოასპარეზე ჰაკინენ-კულჰარდის დუეტის შემხედვარე ხმის ამოღებას ვერ ბედავდნენ, ახლა გათამამდნენ და თავიანთ რჩეულს ჩემპიონობის უპირველეს კანდიდატად მიიჩნევენ. ისინი, ალბათ, მართალნიც არიან. ფინელი და შოტლანდიელი ხომ გაცილებით უკეთესი ბოლიდებით ასპარეზობენ, რაც მათ დამატებით უპირატესობას ანიჭებს. თუმცა, ამის მიუხედავად, შუმახერმა დაამტკიცა, რომ ლეგენდარული აირტონ სენას თაობის შემდეგ იგი მართლაც საუკეთესო მრბოლია მსოფლიოში და შედარებით უარესი მანქანითაც სასწაულების მოხდენა ძალუძს.

მოკლედ, შუმახერ-ჰაკინენის საარაკო დაპირისპირებას უამრავი გულშემატკივრის ყურადღება მიუპყრია და ისინი მოუთმენლად ელიან მოვლენების შემდგომ განვითარებას. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ავტორბოლის მოყვარულმა გავლენიანმა პირებმა მართლაც უპრეცედენტო რამ გადაწყვიტეს.

მათი ჩანაფიქრის არსი იმდენად მიმზიდველია, რომ ფორმულა 1-ის ჭეშმარიტი დამფასებელნი ამის გაგონებაზე მაშინვე უდიდესი რბოლის ხილვის სურვილით ალინთებიან. საქმე ისაა, რომ იდეის განხორციელების შემთხვევაში მიკა ჰაკინენი და მიხაელ შუმახერი თავიანთი სუპერსწრაფი ბოლიდებით ბერლინის ცენტრში საგანგებოდ მოწყობილ ტრასაზე ერთმანეთის პირისპირ წარდგებიან და საუკეთესოს გამოავლენენ.

თუ ყველაფერი ორგანიზატორთა სურვილისამებრ წარიმართა, ორი ბოლიდი ბერლინ-შტრასეზე მდებარე იანის ბულვარის სათავეში დადგება, საიდანაც ხელისგულივით მოპრიალებული, თითქმის იდეალურად სწორი ტრასა ტიერ გარტენპარკამდეა გადაჭიმული. ამ გზაზე მრბოლებს მაქსიმალური სიჩქარის განვითარება შეეძლებათ და, რაღა თქმა უნდა, უსაფრთხოების ყოველგვარი გარანტია ექნებათ.

თუმცა, არის ერთი პრობლემა, რომელმაც ეს „საუკუნის რბოლად" შერაცხული დაპირისპირება შეიძლება ჩაშალოს. ბერლინელი მწვანეთა კავშირის წევრები — აი, ვისი ეშინიათ ყველაზე მეტად რბოლის ორგანიზატორებს.

ეკოლოგიური სისუფთავის დამცველნი მეტად უარყოფითად შეხვდნენ ამ წამოწყებას და მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთი მონაწილე მათი თვისტომია, ისინი ყოველნაირად ცდილობენ, რათა ეს უჩვეულო რბოლა ბერლინის ქუჩებში არ მოეწყოს.

— ეს ჩანაფიქრი აბსურდად მიგვაჩნია. ავტორბოლა ხომ ყოვლად ამაზრზენი სპორტია, რომელიც მხოლოდ იმისთვისაა მოგონილი, რომ სხვადასხვა კომპანიებმა თავიანთ მანქანებს სახელი გაუთქვან. თანაც ბოლიდები ყურისწამღებ ხმაურს იწვევენ და გარემოს გამონაბოლქვით აჭუჭყიანებენ. ასეც რომ არ იყოს, ვერ ვხვდებით, რატომ უნდა გაიმართოს ეს შეჯიბრი მაინცდამაინც ბერლინის ცენტრში. როგორც ვიცით, ამისთვის საგანგებო ადგილებია გამოყოფილი — განაცხადა ბერლინის მწვანეთა პარტიის წარმომადგენელმა მათიას ტანგმა.

მისი აღშფოთება, ცოტა არ იყოს, გაუგებარია, რბოლა ხომ სულ 4 წუთს გასტანს და ძირითადად სარეკლამო მიზნებისთვის ტარდება. ორგანიზატორების თქმით, მათ სურთ, შეჯიბრი ავტორბოლების დროს სიგარეტის აკრძალვის კომპანიას მიუძღვნან.

— ამ დღეებში მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ ორივე პილოტის გუნდების ხელმძღვანელებთან და ქალაქის მერიის თავკაცებთან. ვფიქრობთ, მათ საწინააღმდეგო არაფერი ექნებათ და მიხაელ შუმახერისა და მიკა ჰაკინენის დაპირისპირებას ხელს ვერაფერი შეუშლის — სტეფან კლოსენი ერთ-ერთი ორგანიზატორთაგანია, რომელსაც ეჭვი არ ეპარება, რომ რბოლა გაიმართება და, ალბათ, სამართლიანადაც. ბერლინის ავტოსაგზაო სამსახურის უფროსები მათ წამოწყებაში ცუდს ვერაფერს ხედავენ. ის კი არა, რბოლას თავადაც დიდი ინტერესით ელიან.

**ირაკლი ხმელიძე**

# ყრილობას ჩაშლა ემუქრება
# აჭარამ უარი შემოთვალა

დასაწყისი პირველ გვერდზე

მაინც რა მოტივაცია გააჩნია ფედერაციას ყრილობის ჩასაშლელად თუ გადასადებად? უმთავრესი ჩივაძის უარია.

არ შემიძლია თქვენი ყურება, არც მინდა. ამდენ დაპირისპირებას ვერ გავუძლებ, მშვიდი ცხოვრება მინდაო, განაცხადა ჩივაძემ. ჰოდა, დავასვენოთ კაცი, მოვეშვათ, ქართული ფეხბურთი მისით არ დაწყებულა და არც მთავრდება. იცხოვროს კაცმა წყნარად. იგი საბოლოოდ ფეხბურთს განზე არ გაუდგება. დაისვენებს და დაბრუნდება.

მეორე არგუმენტი ის გახლავთ, რომ ახალშექმნილი ფედერაციების უმრავლესობამ იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაცია ვერ მოასწრო და ყრილობაზე დელეგატს ვერ მოავლენენო.

ერთხელ ვთქვით და გავიმეორებთ, ფედერაციის გარდა ისინი არავის სჭირდება, აქედანვე განწირულები არიან და უპრეტენზიონი. ისინი იმიტომ შეიქმნა, რომ ფედერაციას ხმების სოლიდური რაოდენობა დაეგროვებინა. ბოლო ბოლო ვისი ბრალია, რეგისტრაცია რომ ვერ მოასწრეს. რა ხანია, ყრილობის ვადა დამტკიცებულია, სად იყვნენ აქამდე?

ევროტურნირებიო, ჩემპიონატის დასაწყისიო, არეული დროება, ჩაწყობილი თამაშები და ალიანსიო — ბოლოდან დავიწყოთ: საარჩევნო კამპანია ფაქტობრივად წარმოუდგენელია ალიანსების გარეშე. ეს კანონზომიერია და აქ სადაო არაფერია.

ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ საქართველოში წელს არ დაწყებულა ჩაწყობა-გარიგებებზე საუბარი. ალბათ, არც არასდროს შეწყდება და არა მგონია, მსგავსი ქმედებები ფედერაციისთვის უცხო იყოს, პირიქით, ძალიანაც ნაცნობია.

რას ვეძახით არეულ დროებას. გაგანია სამოქალაქო ომის დროს ჩემპიონატი არ შეუწყვეტია ცხონებულ ნოდარ ახალკაცს. რა თქმა უნდა, გუშინ არ შეგვიტყვია ქვეყანაში 300 ათასზე მეტი ლტოლვილი რომ გვყავს ბედის ანაბარა მიყრილი და ერთმა ღმერთმა უწყის, კიდევ რა გველის. ჩვენ ყოველივეს უკვე შევეჩვიეთ და თუ უკეთეს დროებას ველოდეთ, მაშინ სულ ცოტა 10 წელი მოგვიწევს ცდა. ამ ხნის მერე ყრილობა არავის დასჭირდება. ფეხბურთი არ გვექნება და იმიტომ.

ევროტურნირები და ჩემპიონატის დასაწყისი მაშინ არავის გახსენებია, როცა ყრილობის დღედ 24 ივლისი გამოაცხადეს. გვახსოვს, მაშინ ფედერაციას ბევრი უკიჟინებდა, ცუდი დრო შეარჩიეთო. მაინც თავისი გაიტანეს, არავის დაუჯერეს და ახლა არ მოსწონთ.

ფინანსები გვაქვს არეულიო. აკი აქამდე ყველაფერი რიგზე იყო. საგადასახადო ინსპექციამ თეთრი ზედმეტი ვერ იპოვაო. რაღა ახლა გახდა წარსული და ქარის წაღებული საძებარი. სხვათა შორის, ფინანსების მხრივ არც ოპოზიციას ულხინს, ამათი საქმე სულაც სასამართლოშია გასარჩევად. ფედერაცია ახლა აპირებს, მასალები პროკურატურას გადასცეს, ახლა ცდილობს უცოდველობის დამტკიცებას და ყრილობის გადადებას. არ ყოფილა საშველი, გვაღირსეთ ქართული ფეხბურთის პატრონი, გვაღირსეთ გამარჯვებები და მერე თქვენი საქმეებიც საბოლოოდ გაარკვიეთ. ეს პოზიციას და ოპოზიციას ერთნაირად ეხება. ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ, ოღონდ ფეხბურთს უშველეთ. გაიყავით ეგ დანჯღრეული სკამი როგორმე და გულშემატკივრებიც ამოასუნთქეთ.

ამ წერილში ფედერაციას იმიტომ ვსაყვედურობთ, რომ სწორედ ფედერაციის პრეროგატივაა ყრილობის ორგანიზაცია. მალე, წარმოუდგენლად მალე, ეროვნული ნაკრები შესარჩევ ციკლს დაიწყებს. ნუ შევაგდებთ ბიჭებს ბრძოლაში ისე, ფეხბურთს პატრონი არ ჰყავდეს. მათაც იცოდნენ, ვინ გაუმაგრებს ზურგს. არა აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება, ოღონდ ნალდი იყოს.

დღეს კი ბოლო აღმასკომია, ბოლო გაურკვეველ სიცხადემდე. 18 კაცი სათათბიროდ შევა, შეიძლება 18 არც შეიკრიბოს, მაგრამ მათ უნდა იცოდნენ, რომ მეტად საპასუხისმგებლო მისია აკისრიათ. განსახილველი ორი საკითხია — ჩემპიონატის კალენდრის დამტკიცება და ყრილობის ბედ-იღბალი. კალენდარი დიდ დროს ვერ წაიღებს, იგი ადრინდელთაგან ვერაფრით იქნება გამორჩეული, ამიტომ მივხედოთ ყრილობას.

ტვირთი ძალიან მძიმეა, მისია უდიდესი. ქართულ ფეხბურთს სრულუფლებიანი მეფე სჭირდება. მეფე პრინციპული, ამაყი და სამართლიანი.

აღმასკომში 18 კაცია, საქართველოს სხვადასხვა რეგიონის წარმომადგენლები ძალიანაც ინერვიულებენ. ხუმრობა ხომ არ არის, ქართული ფეხბურთის ბედი ნაწილობრივ თითოეული მათგანის ხელშია. დაფიქრებაა საჭირო, დიდი გონიერება.

**მამუკა კვანტალიანი**

### აღმასკომის წევრები

ალექსანდრე ჩივაძე (ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი)
დავით კვინიკაძე (გენერალური მდივანი)
ნოდარ ანდრიაძე (ვიცე-პრეზიდენტი)
გურამ ფილიპაშვილი (ქუთაისი)
შუქრი დევნოზაშვილი (ქვემო ქართლი)
თენგიზ ბურჯანაძე (ქართლი)
ლაშა მინდელი (რუსთავი)
გოჩა როსტომაშვილი (კახეთი)
მერაბ ჟორდანია (დინამო)
დავით ფრუიძე (იმერეთი)
ოთარ ჭითანავა (სამეგრელო)
ჯონი ცივაძე (აჭარა)
ვახტანგ მახარაძე (ასკ)
ვახტანგ დუმბაძე (აფხაზეთი)
გულსუნდა დუნდუა (გურია)
თემურ ხოხობაია (ფოთი)
გურამ დურგლიშვილი (მინი-ფეხბურთის ფედერაცია)
გურამ ქარქაშაძე (შსს)

# ნუ ვიტყვით, მშვიდობით, იყოს ნახვამდის!



1997 წელი. საქართველოს თასის ფინალი. რას იფიქრებდა ირაკლი ზოიძე ეს თასი ბოლოჯერ თუ ეჭირა

„დინამო" სულ მალე ახალ საფეხბურთო სეზონს დაიწყებს. გუნდი ადრინდელივით სახეშეცვლილი ჩაებმება ევროთასების გათამაშებაში, დასაბამიდანაც ასე ყოფილა, ძველები მიდიან, მათ ადგილს კი ახალგაზრდები იჭერენ.

წასვლას რა უნდა, არც არაფერი, წამიერი გადაწყვეტილებაა. ერთხელ თუ განსხვავებული აზრი აგეკვიატა, მერე მისი თავიდან მოცილება ძალზე ძნელია.

„დინამოს" ახლა ხურცილავა მეთაურობს. გუნდში აქამდე ნამუშევარ მწვრთნელთაგან განსხვავებული საფეხბურთო სტილის მიმდევარი კაცი. ხურცილავამ ადრინდელ მეკარეებზე უარი თქვა, ირაკლი ზოიძეს და გელა ჭანტურიას რამაზ სოლოლაშვილი და ზურაბ ბათიაშვილი ამჯობინა.

ფეხბურთელის დარჩენა-არდარჩენის საკითხს მწვრთნელი წყვეტს და ვერც ვერავინ შეედავება. ისე, სადაც სიმართლეა, იქ უნდა თიქვას, რომ ზოიძე გუნდიდან არავის გაუშვია. ირაკლი წასვლას რა ხანია, ითხოვდა. ჭანტურია კი უნდა დაეტოვებინათ, მისი გამოცდილება გამოსაყენებელი იყო, ახალგაზრდებსაც დაეხმარებოდა.

რაოდენ უცნაურადაც უნდა ჟღერდეს, ზოიძის დასუსტებაში დამნაშავენი თავად „დინამოს" მწვრთნელები იყვნენ. ბოლო დრომდე იდგა ბიჭი კონკურენტის გარეშე. დუბლიორად ახალგაზრდები ჰყავდა და იცოდა, კარში ადგილი დაჯავშნული ჰქონდა.

გადიოდა წლები, იცვლებოდნენ თაობები „დინამოში", ირაკლი კი იდგა და იდგა შეუცვლელად. ვერსად მიდიოდა, რადგან ევროპაში მხოლოდ უძლიერესთა შორის უძლიერესები იყიდებიან. სხვა დონე არ აკმაყოფილებთ, რადგან მეკარე ყველას თავისი ურჩევნია.

ზოიძეს თანდათან ინეტერესი დაეკარგა, „დინამოში" მაინც შეუცვლელად იდგა და ნაკრებშიც ნდობას უცხადებდნენ. ირაკლიმ თანდათან უკლო, ყველაფერს ფსიქოლოგიური ტრავმებიც დაერთო და წახდა მეკარე.

ჯერ „ტიროლი" იყო, თუმცა იმდენ გაშვებულ გოლში ირაკლის ცოდვა უმნიშვნელო თუ იყო. მერე „ბოავიშტა", მერე ნაკრების პოლონური ფიასკო.

ზოიძე გამოიფიტა, გადაიწვა. არ დამიჯერებთ, ბურთის დანახვა არ მინდა, მინდორზე გასვლა შემძულდაო. ეს სხვა არაფერია თუ არა შიში. დამთრგუნველი ფსიქოლოგიური შიში მინდვრისა, ბურთისა და მეტოქის თავდამსხმელებისა.

შეიძლება ირაკლი ბოლო დროს ურიგო ფორმაში სულაც არ გახლდათ, მაგრამ მას შიში ბორკავდა, ზემოთხსენებული შიში. თუ თასის ფინალის პერიპეტიებს გავიხსენებთ, მაშინ ზოიძის შიშსაც თვალნათლივ დავინახავთ.

დაბნეული მეკარე, რომელიც თითოეული სათამაშო ეპიზოდის გაანალიზებას საჭიროზე გაცილებით მეტ დროს უთმობს, წამებს კარგავს, ნახტომისას ნაბიჯის გაკეთება ავიწყდება და ადგილზე წვება.

დიდებულად შეასრულა კანტიძემ ბათუმელთა პირველი გოლი, უიშვიათესი სილამაზის გამოდგა მოჭრილი დარტყმა, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, ზოიძემ ნახტომი დააგვიანა, ნაბიჯის წადგმაც დაავიწყდა.

ირაკლიმ ჭიჭვეიშვილის დარტყმულიც გაუშვა. გაუშვა და თავში ხელი წაიშინა, იცოდა, გუნდს რომ ფინალი წააგებინა, ნახტომი ვერ გამოზომა, ბიჭებს უმტყუნა. ასეთი კი არა, წარმოუდგენელი ბურთები აულია ზოიძეს, მაგრამ ისინი ახლა აღარავის ახსოვს.

ზოიძემ „დინამოსგან" ნანატრი განთავისუფლების ფურცელი მიიღო და დაგვეკარგა კაცი. მისგან და მასზე არაფერი ისმის. ალბათ კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწევა და სულიერ ტრავმებს იშუშებს.

მას ახლა მეტად ძლიერი ფსიქოლოგი სჭირდება, რათა სრულიად განიმუხტოს. ვინ იცის, მობრუნდება კი როდესმე, ჩადგება ვითომ კარში? ჩვენ მაინც ვიქონიოთ იმედი, ველოდოთ და ჯერაც ნაადრევად მივიჩნიოთ საბოლოო სიტყვები — მშვიდობით, ირაკლი!

ზოიძე მაინც შედარებით ახალგაზრდაა, მაგრამ ჭანტურიას ხომ ბევრი უნახავს. ბევრი შემოგვრჩა ისეთი ფეხბურთელი, საკავშირო ჩემპიონატი რომ უთამაშია?

ჭანტუ, ბაბუ. მისთვის ბარიერი არ არსებობდა. ყოველგვარ ზღუდეს ანგრევდა მისი კაცური, ადამიანური მიდგომა საქმისადმი. ყველას, დიდს თუ პატარას, თანაგუნდელს თუ ჟურნალისტს, ჭანტუს უკმეხი სიტყვა ვერ გაახსენდებათ.

ერთხელ, მაშინ, როცა აფხაზეთის ომი დაიწყო, „ოდიში" წინასასეზონო მზადებას ალახაძეში გადიოდა, ჭანტურიამ დაიქადნა — მაცალეთ, გაგახსენებთ გელა ჭანტურიას, მე ნაკრების კარშიც ჩავდგებიო. მახსოვს, მაშინ ბაბუ ახალგაზრდებმა ენრიკო ბერიშვილმა და ცხონებულმა ზვიად ქაძანაიამ გააბრაზეს.

მან მართლაც ბევრს შეახსენა თავი, არაერთი სეზონი იბურთავა. ჩემპიონატში და თასზე „დინამოს" არაერთხელ გაამარჯვებინა, მაგრამ ნაკრების კარში ვერ ჩადგა.

ვერ ჩადგა იმიტომ, რომ მისი მატარებელი კარგა ხნის დაძრული იყო. იმიტომ, რომ მას ერთნაირად, წრფელი გულით უყვარდა ყველა გვერდში მდგომი. ამხელა სტაჟიან კაცს მწვრთნელი ვერც მოსთხოვ, რეჟიმი დაიცავი, ვარჯიშებზე ბოლომდე დაიხარჯეო.

ეს წერილი იმიტომ დაიწერა, რომ ერთხელ დილმის ბაზაზე ასეთ სურათს მოვკარი თვალი, ბაბუ „დინამოს" ახალ მეკარეებს შუმახერას და ბათის მოძღვრავდა, გამოცდილებას უზიარებდა. ჭანტუც ვარჯიშობდა მათთან ერთად, მაგრამ ნაძალადევი მონდომებაც ეტყობოდა.

ბიჭები კი თავგანწირულები დახტოდნენ. ბაბუ უყურებდა და თვალები სიხარულით უელავდა. მერე თქვა, კარგი მეკარეები დადგებიანო. დარწმუნებული ვარ, ირაკლი იქ რომ ყოფილიყო, ისიც ასევე იტყოდა. მათ მომავლის, იმედიანი მომავლის მოსვლა გაუხარდათ. გზაც დაულოციათ ახალგაზრდებისთვის.

კარგია, როცა დროის შეგრძნება არ გეკარგება. წასვლის ფასი იცი. ზოი და ჭაეტუ „დინამოდან" ვალმოხდილი და თავაწეულები წავიდნენ, ნათელი, დამოძღვრილი მომავალი დატოვეს და ისე წავიდნენ. ასეთები არ იკარგებიან.

და მაინც დასამშვიდობებლად არ გვემეტებიან, იყოს ნახვამდის. ვინ იცის, ცხოვრებაში, მითუმეტეს ფეხბურთში, ყველაფერი ხდება.

**მამუკა კვანტალიანი**

---

ბათუმი საქართველოს ვიცე-ჩემპიონი ახალი სეზონისთვის მზადებას უსოლოლაშვილოდ აგრძელებს

## სოლოდა ბათუმს საბოლოოდ დასცილდა

ორიოდ კვირის წინ „ბათუმში" გაურკვევლობა იყო. გუნდის რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი ხელმძღვანელობისგან კუთვნილის მიღებას ითხოვდა. ახლა ყველაფერი გამოსწორდა. შოთა ჭეიშვილმა სასურველი შემადგენლობაც შეკრიბა. თუმცა გასულ სეზონთან შედარებით „ბათუმში" მაინც მნიშვნელოვანი ცვლილებებია. როგორც აქამდე ვწერდით, ბელგიურ „ლიერსში" გადაბარგდა ეროვნული გუნდის წევრი გელა შეყილაძე, „დინამოს" დაუბრუნდა თასის ფინალში ოქროს გოლის გამტანი დავით ჭიჭვეიშვილი, ზაზა ზირაქიშვილმა კი საკუთარი სურვილით დატოვა ზღვისპირა ქალაქი. ახლა გუნდიდან წასულ ფეხბურთელთა სია კიდევ გაგრძელდა, „ბათუმთან" კონტრაქტის გაგრძელება აღარ ისურვა დავით სოლოლაშვილმა. ფეხბურთელი, რომელმაც ჩემპიონატის პირველი წრე ფაქტობრივად მთლიანად გამოტოვა, მაგრამ შოთა ჭეიშვილს მისი იმედი მაინც ჰქონდა, საბოლოოდ წავიდა „ბათუმიდან".

**კობა ინასარიძე**

რიგა ჩვენი მეტოქე ლატვია ისლანდიელებთან გაჯიბრებას აპირებს

## ლატვია ზღვაში

როგორც ლატვიის ნაკრების მწვრთნელმა რევაზ ძოძუაშვილმა გვითხრა, 19 აგვისტოს თვითონ და მისი შეგირდები კუნძულ ისლანდიას ესტუმრებიან ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად. ძოძუაშვილის ნაკრებისთვის ჩრდილოელებთან თამაში ბოლო რეპეტიცია იქნება შესარჩევების დაწყებამდე, ისინი ხომ 6 სექტემბერს ნორვეგიელებს უნდა ეწვიონ. შეგახსენებთ, ლატვიელებზე ერთი დღით ადრე საქმეში ქართველი ფეხბურთელები ჩაერთვებიან, 5-ში საქართველო-ალბანეთია. 19 აგვისტოს კი ბალტიისპირელთა მსგავსად ჩვენც გველის ამხანაგური თამაში — კიევში უკრაინა გვიმასპინძლებს.

**კობა ინასარიძე**

თსუ სტუდენტებს საშველი დაადგათ კვირას ვარჯიშს განაახლებენ

## არდადეგები დამთავრდა

„სარბიელის" მკითხველს რამდენჯერმე მივაწოდეთ ინფორმაცია თსუ-ს სავალალო მდგომარეობაზე. დაშლის მიჯნაზე მდგარი გუნდის მომავალი თითქოს უიმედო ჩანდა, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელებისა და მწვრთნელების გარჯამ შედეგი გამოიღო — როგორც იქნა, სტუდენტებს სპონსორი გამოუჩნდათ, მაგრამ საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, მის ვინაობას ჯერჯერობით არ ასახელებენ. ამას ჩვენთვის პრინციპული მნიშვნელობა არც აქვს. მთავარია, საქართველოს ცოდნის ტაძარმა გუნდი შეინარჩუნა, თუ ეს ითქმის, რადგან ყველასათვის ცნობილ მიზეზთა გამო თსუ დაახლოებით ჩვიდმეტამდე ფეხბურთელმა დატოვა. თვითნებურად წასულთა უმრავლესობას ალბათ მწვრთნელებიც აღარ სთხოვენ, უკან დაბრუნდნენ. როგორც გუნდის თავკაცებმა აღნიშნეს, არ ღირს ისეთ ფეხბურთელთან საქმის დაჭერა, ვისაც თვალი წასვლაზე უჭირავს და მინდორზე გულიანად არ ირჯება. თსუ-ს შემადგენლობის გადახალისება ძირითადად ფარმ-კლუბის ახალბედების ხარჯზე მოხდება. ძველებიდან კი გუნდში 4-5 გამოცდილ ფეხბურთელს დატოვებენ. რაც შეეხება მომავალ მიზნებს, ამას დრო გვიჩვენებს. თუმცა, ჯობს, გახანგრძლივებული არდადეგების შემდეგ სტუდენტთა პირველ საწვრთნელ შეკრებას დაველოდოთ და ყველაფერი მაშინ გავარკვიოთ.

კვირას, 19 ივლისს, დილის 10 საათზე, დიდუბეში, „ივერიის" სტადიონზე, თსუ მოსამზადებელი პერიოდის პირველ ვარჯიშს ჩაატარებს.

**ხვიჩა სანიკიძე**

# გშია? ითამაშე! გცივა? ითამაშე!

## გურია

საბოლოო ადგილი მეთოთხმეტე

სტადიონი: „ეგრაფი შევარდნაძე“ — 22 000
1990, 91 წლების ვიცე-ჩემპიონი
1990 წლის თასის მფლობელი
1990 წლიდან თამაშობს ეროვნული ჩემპიონატის A ჯგუფში.
ჩაატარა 275 მატჩი. მოგება — 117. ფრე — 35, წაგება — 123. ბურთების შეფარდება: 438:497.
რეკორდული მოგება — 8:1. 23.08.90 — შევარდენი
რეკორდული წაგება — 0:7. 22.05.95 — მარგვეთი, 15.08.96 — ბათუმი, 30.05.97 — კოლხეთი
ყველაზე მეტი გოლი A ჯგუფში — ჩხაიძე 104
ყველაზე მეტი მატჩი A ჯგუფში — კორლალიძე 81

## 30 ტური

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 30 | 24 | 4 | 2 | 86:15 | 71 |
| ბათუმი | 30 | 18 | 7 | 5 | 58:19 | 61 |
| კოლხეთი | 30 | 17 | 6 | 7 | 56:27 | 57 |
| ტორპედო | 30 | 15 | 9 | 6 | 51:30 | 54 |
| ოდიში | 30 | 15 | 4 | 11 | 43:51 | 49 |
| ლოკომოტივი | 30 | 12 | 8 | 10 | 34:37 | 44 |
| მერანი | 30 | 13 | 7 | 10 | 39:33 | 39 |
| თსუ | 30 | 11 | 6 | 13 | 35:33 | 39 |
| დილა | 30 | 11 | 4 | 15 | 31:36 | 37 |
| ვიტ ჯორჯია | 30 | 9 | 9 | 12 | 27:37 | 36 |
| რუსთავი | 30 | 10 | 4 | 16 | 32:41 | 34 |
| სამგურალი | 30 | 9 | 7 | 14 | 31:50 | 34 |
| სიონი | 30 | 10 | 6 | 14 | 49:47 | 31 |
| გურია | 30 | 6 | 9 | 15 | 30:58 | 27 |
| მალაროელი | 30 | 7 | 5 | 18 | 25:59 | 26 |
| მარგვეთი | 30 | 2 | 7 | 21 | 21:75 | 13 |

„მერანს“ დაკლებული აქვს 7 ქულა, „დინამოს“ და „სიონს“ — 5-5

## «გურიას» შედეგები მეცხრე ჩემპიონატში

| | შ | ს |
|---|---|---|
| მერანი | 1:1 | 0:5 |
| ტორპედო | 1:1 | 0:4 |
| ოდიში | 1:1 | 0:1 |
| ბათუმი | 1:1 | 0:5 |
| კოლხეთი | 0:1 | 0:2 |
| თსუ | 1:1 | 0:0 |
| სიონი | 2:1 | 2:2 |
| მალაროელი | 3:1 | 0:2 |
| ლოკომოტივი | 1:2 | 1:2 |
| რუსთავი | 1:1 | 1:4 |
| ვიტ ჯორჯია | 2:1 | 0:1 |
| სამგურალი | 2:0 | 1:3 |
| დინამო | 0:4 | 0:6 |
| დილა | 3:2 | 1:2 |
| მარგვეთი | 4:0 | 1:1 |

| | თ | გ | ყ | წ |
|---|---|---|---|---|
| თიბილაშვილი | 28 | 2 | 5 | 0 |
| კ. კვეკვესკირი | 27 | 7 | 3 | 0 |
| ღურწკაია | 26 | 0 | 3 | 0 |
| ჩხეტია | 25 | 4 | 0 | 0 |
| ბულუხია | 24 | 5 | 5 | 0 |
| განევი | 24 | 1 | 3 | 0 |
| გოგუა | 21 | -37 | 0 | 0 |
| ჯ. ბერიძე | 21 | 3 | 1 | 1 |
| კუკულაძე | 20 | 0 | 0 | 0 |
| ჯაშიაშვილი | 20 | 1 | 3 | 0 |
| ქიქავა | 18 | 1 | 3 | 0 |
| პატარაია | 15 | 1 | 4 | 0 |
| ზ. კვეკვესკირი | 14 | 1 | 1 | 0 |
| ლორია | 14 | 1 | 0 | 0 |
| ფაცურია | 13 | 1 | 1 | 0 |
| გ. ჭელიძე | 13 | 0 | 0 | 0 |
| ბუკია | 12 | 2 | 1 | 0 |
| თ. გოგიჩაიშვილი | 12 | 0 | 0 | 0 |
| ხოსროშვილი | 12 | 0 | 0 | 0 |
| ვარდანიძე | 9 | -20 | 0 | 0 |
| ბაბუნაშვილი | 7 | 0 | 0 | 0 |
| გვარჯალაძე | 6 | 0 | 1 | 0 |
| ლ. გაბუნია | 5 | 0 | 0 | 0 |
| იზორია | 2 | 0 | 0 | 0 |
| პ. გაბუნია | 1 | -1 | 0 | 0 |

შ-შინ; ს-სტუმრად; თ-თამაში; გ-გოლი; ყ-ყვითელი, წ-წითელი ბარათი

სასწაული იყო აბა რა, პატარა ლანჩხუთის „გურია“ რომ დედამიწის ერთ მეექვსედზე გადაჭიმული „დიადი“ ქვეყნის უმაღლეს ლიგაში აღზევდა.

სასწაული იყო აბა რა, გურულებმა 22 000-კაციანი სტადიონი ორიოდ თვეში რომ წამოჭიმეს.

სასწაული იყო აბა რა, ასეთები დიდ საფეხბურთო ქვეყნებში უიშვიათესად ხდება.

„გურია“ ისტორიაში შევიდა — საბჭოეთისა და საბჭოური ფეხბურთის ისტორიაში.

ჩვენებურ სტატისტიკოსს, ქართული ფეხბურთის ყველაზე თავდადებულ მემატიანეს რევაზ შენგელიას ერთი მოსკოველი მეგობარი ჰყავს. ეს რუსი კოლექციონერი თავის დროზე „გურიას“ თავგადაკლული გულშემატკივარი იყო და ახლაც მის ბედუკუღმართობას ძალიან განიცდის.

„გურიას“ ხათრით ამ კაცმა ქართული ისწავლა, ჩვენებური გაზეთები ადრე „ლელო“ მერე კი „სარბიელი“ რომ ეკითხა. ჰოდა ამ კაცს მისი თბილისელი კოლეგა მთელი წლის „სარბიელებს“ უგროვებს და ისიც მოუთმენლად ელის ყოველ იანვარს თანამეგობრობის თასზე ქართველთა მოსკოვურ ვიზიტს.

ამ უცნაური კაცის კიდევ უფრო უცნაური ამბავი გურულთა გმირობის დასტურად გავიხსენე. და „გურიამ“ ხომ მეორედაც შეძლო უმაღლესში ამაღლება, მაგრამ მაშინ ქართული ფეხბურთი საბჭოურს გამოეყო და...

ეს ლანჩხუთელები იყვნენ ჩვენი ფეხბურთის დამოუკიდებელ გზაზე პირველ ქართულ ტიტულს რომ შეწვდნენ. საშინაო სარბიელზეც ძალიან იყოჩაღეს გურულებმა, სულაც დუბლის გაკეთება შეეძლოთ, მაგრამ „დინამოს“, თასის გათამაშებას მძიმე ბრძოლაში რომ გამოთიშეს, ჩემპიონატში ველარა მოუხერხეს, ორი ქულით ჩამორჩნენ.

„გურია“ საგაზაფხულო ჩემპიონატშიც მეორე იყო, შემოდგომა — გაზაფხულის სისტემაზე გადასვლა კი ლანჩხუთელებს ძვირად დაუჯდათ. ჯერ მეოთხეზე ჩამოქვეითდნენ მერე კი სულაც ათეულში მოხვედრა გაუხდათ სანატრელი. ერთადერთხელ იყო „გურიამ“ ათეულის ზღვარს რომ გადააბიჯა — 1994 წელს, როცა კლუბს ძველი გვარდიის რამდენიმე წარმომადგენელი დაუბრუნდა, მეშვიდე იყო.

წელს რომ ვინმე საქმეში ჩაუხედავს ლანჩხუთელთა თამაში ეხილა, ვერც იფიქრებდა, რომ ეს კლუბი 90-იანი წლების მიჯნაზე საქართველოში პირველი თუ არა მეორე მაინც იყო.

ისე როგორც ბოლოხანს, წელსაც „გურიამ“ სეზონი გაურკვევლობაში მყოფმა დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ უჭირდათ, სტარტი გურულებს არცთუ ურიგო გამოუვიდათ. ახალწვეულებს კოლხყოფილ თიბილაშვილს და ბულუხიას წინა სეზონის მომზადება სანამ გადმოჰყვათ, ერთ-ერთი საუკეთესონი იყვნენ, მერე კი მათაც სხვებსავით გაუჭირდათ.

„გურიას“ დაცვა ჰყავდა კარგი და მეკარეები, თორემ რაც შეძლო, იმის მიღწევაც გაუჭირდებოდათ. ნახევარდაცვას და თავდასხმას, ცხადია, ძალა არ ერჩოდა.

„გურია“. ეს იყო გუნდი, რომელმაც შინაური მატჩი მხოლოდ სამჯერ წააგო — „დინამოსთან“, „კოლხეთთან“ და „ლოკომოტივთან“, მაგრამ მოგებითაც ექვსჯერ მეტად არ მოუგია. დანარჩენი 6 საშინაო მატჩი გურიამ ფრედ ითამაშა და ყველა ერთნაირი ანგარიშით 1:1.

„გურია“. ეს იყო გუნდი, ერთ-ერთი იმ იშვიათთაგანი სტუმრად მოგება რომ ვერ შეძლო. ფრეთა რაოდენობით კი (სამჯერ მასპინძლებსაც დაუზავდა) „ტორპედოსთან“ და „ვიტ ჯორჯიასთან“ ერთად „გურია“ ჩემპიონატის ყველაზე მშვიდობისმოყვარე გუნდი გახლდათ.

ლანჩხუთის სტადიონი, ცოტა ხნის წინ „გურიის“ დიდი მოამაგის ევგრაფ შევარდნაძის სახელით რომ მოინათლა, 22 ათასს კი არა, თითოეულ მატჩზე 220 მაყურებელს გაჭირვებით იზიდავდა. წინასწარ იცოდა ფეხბურთის ლანჩხუთელმა ქომაგმა, რომ სტადიონზე მისულს, დიდი შანსი იყო, ნაცნობი სანახაობა დახვედროდა: „გურიას“ სწრაფი გოლი გაჰქონდა, მეორე ტაიმში ძალა ეცლებოდა და იძულებული იყო ფრეს დაყაბულებოდა.

ასე იყო „ბათუმთან“, „ტორპედოსთან“, „ოდიშთან“, თსუს-თან, „მერანთან“ და „რუსთავთანაც“. მოკლედ ამ უკანასკნელთ თუ არ ჩავთვლით, ჩემპიონატის ლიდერთა საბოლოო სუბორდინაცია „გურიას“ დიდი დამსახურებაა. უქვე ვთქვით, გურულებს სტუმრად არ მოუგიათო და იმ სამი ფრედან არცერთი ამ გუნდებთან არ უთამაშიათ.

ლანჩხუთური მატჩების სცენარი გურულებმა კიდევ უფრო დეტალურადაც იცოდნენ: ის სწრაფი გოლი ხშირ შემთხვევაში ლიბერო კობა კვეკვესკირს, როგორც წესი პენალტიდან გაჰქონდა.

ვინ იცის, იქნებ უპრეცედენტო ფაქტიცაა, კობა „გურიას“ ბომბარდირი ერთთავად თერთმეტმეტრიანი ნიშნულიდან გატანილი გოლებით გახდა. ჩვენებური მსაჯები რომ გურულთა მიმართ მეტად მოწყალენი ყოფილიყვნენ, ვინ იცის უფროსი კვეკვესკირი იქნებ ჩემპიონატის ბომბარდირიც გამხდარიყო.

ეს, ცხადია, ხუმრობით, მაგრამ ხუმრობა იქით იყოს და წელს გურულებს, როგორც არასდროს, ისე გაუჭირდათ — პირველ ჯგუფში დარჩენის საკითხი ჩემპიონატის ძირითადი ნაწილის დამთავრებიდან ერთი კვირის თავზელა გადაჭრეს.

მანამდე კი „გურიას“ 30-ე ტურის მატჩი სტუმრად, ზესტაფონში ჰქონდა სათამაშო. აქამდე მე-14 ადგილზე იყო და თანაც ორი საფეხურით მაღლა მდგომთან ისეთი სხვაობით, გადათამაშებაში მონაწილეობა ერთადერთ, ულაპარაკოდ გავარდნის შემთხვევაში თუ აცდებოდა.

გურულთა კონკურენტი ჭიათურელები 22 მაისს ქუთაისში თამაშობდნენ. მოიგებდა „მაღაროელი“, გურულებსაც „მარგვეთან“ ფრე მაინც დასჭირდებოდათ ჯგუფში დარჩენის შანსის შესანარჩუნებლად. ცუდი ეგ იყო, აღარც „ტორპედოს“, აღარც „მარგვეთს“ ქულაც კი არაფერს შველოდა — ერთი მყარად მეოთხე იყო, მეორე კი კარგა ხნის წინ გასავარდნად განწირული მეთექვსმეტე.

ორივე სტუმრის მოგება იყო მოსალოდნელი, მაგრამ მხოლოდ ზემოიმერლებმა იმარჯვეს, „გურიამ“ კი ფრეც იკმარა, რადგან ცხრილის ქვედა მეზობელს ზემოდან ცქერის საშუალებას არც ამ შემთხვევაში მისცემდა.

ბოლო ტურს სხვებზე მეტი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. რა გასაკვირია, ლიდერებს რომ მოესურვებინათ, განა „მაღაროელი“ „ტორპედოს“, ანაც „რუსთავი“ „კოლხეთის“ მძლეველი იყო?

ხომ უიმედო იყო, მაგრამ დაინტერესება რომ ჰქონოდა, არც „მარგვეთი“ დაუთმობდა „გურიას“ რამეს.

ითქვა, ზესტაფონური მატჩი ათი წუთის დაგვიანებით დაიწყო და თითო გოლიანი ფრე სწორედ ბოლო ათ, უფრო სწორად რვა წუთში „გაგორდაო“. არც ის დაუმალავთ, მასპინძლები მსაჯთა გასასტუმრებელ ფულს ვერ შოულობდნენ და ეს თანხა თუმც კი მოგვიანებით, გურულებმა გადაიხადესო.

მერე გადათამაშება იყო. „გურია“ ხუთქულანაკლულ ბოლნისურ „სიონთან“ ბრძოლაში ისევ განწირულად მიაჩნდათ, მაგრამ დიდად მოულოდნელი რამ მოხდა გურულებმა დავით ჩხეტიას გოლით 1:0 მოიგეს და ამდენ დავიდარებას გადარჩნენ.

გურულებმა რომ თავის ქართველ თუ უცხოელ (ასეთიც ხომ ჰყავთ) ქომაგებს გული არ გაუხეთქეს და უმლიერესთა შორის ადგილი შეინარჩუნეს, ეს დიდწილად მათი თავკაცის ბეგი სიხარულიძის დამსახურებაა. სიხარულიძეს ჩვენში ძლიერ სპეციალისტად არავინ მიიჩნევს, ლანჩხუთშიც, სხვა რომ არა ვთქვათ, მიხაილ ფომენკოს, მურთაზ ხურცილავას და გიგლა იმნაძეს წლობით უმუშავიათ. ჰოდა, მაინც კია, როცა ძალიან გაუჭირდებათ, გურულები დასახმარებლად სიხარულიძეს უხმობენ. ისიც ფეხბედნიერია (თუ ამას ბედნიერება ჰქვია) და საყვარელ გუნდს უგასამრჯელოდაც შველის.

სიხარულიძემდე „გურიას“ ჯერ გია თავაძე, შემდეგ კი ავთანდილ ნარიაშვილი წვრთნიდნენ. მათ ხელში ლანჩხუთელებმა ბევრი ვერაფერი მოიხვეჭეს, სიხარულიძის მისვლა კი ტრადიციულად იღბლიანი გამოდგა და დიდ სირცხვილის ჭამას გადარჩნენ.

გურულებს ერთიც ეიმედებოდათ: თბილისში „დინამოსთან“ 0:6 რომ წააგეს, ამას კი არ ჯავრობდნენ, გულს იმშვიდებდნენ, ფედერაცია „გურიას“ არ გააგდებსო. მართლა ჩვენი ფეხბურთის მესვეურებმა უშველეს თუ რა, წელს გადარჩნენ.

რას ვიხილავთ წელს, ისევ დასარჩენად მებრძოლ ნახევრად დამშეულ და გაყინულ-გასაცოდავებულ „გურიას“ თუ ძველი დიდების დაბრუნების სურვილით დარწყულებულ გუნდს?

**ვახტანგ ბზიკაძე**



„სიონთან“ გადათამაშებაში დავით ჩხეტიას გოლმა „გურიას“ ზედმეტი დავიდარაბა აცილა



# სკალას ჰიდინკმა აჯობა

მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ტიტულოვან კლუბს, ჩემპიონთა ლიგის გათამაშების უკანასკნელ გამარჯვებულ მადრიდის „რეალს“ ახალი მწვრთნელი ჰყავს — გუს ჰიდინკი. კაცი, რომელმაც საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე ჰოლანდიის ძალიან ძლიერი ნაკრები ჩაიყვანა და რომ არა ნახევარფინალში ბრაზილიელებთან უიღბლობა, ეგებ მსოფლიოს ჩემპიონიც კი გამხდარიყო. ეს ფაქტი ესპანური გრანდის პრეზიდენტ ლორენცო სანს, რომელიც ხოსე ანტონიო კამაჩოს გუნდიდან წასვლის შემდეგ ახალ კანდიდატურას ეძებდა, არ გამორჩენია და 16 ივლისს, „სანტიაგო ბერნაბეუს“ სტადიონზე შეხვედრის შემდეგ ჰიდინკთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

არადა, მთელი საფეხბურთო სამყარო დარწმუნებული იყო, რომ „რეალს“ დორტმუნდის „ბორუსიის“ იტალიელი თავკაცი ნევიო სკალა ჩაუდგებოდა სათავეში, მაგრამ: „მას შემდეგ, რაც სანსმა დამირეკა და შეხვედრა მთხოვა, ამის თაობაზე დიდხანს ვიფიქრე. საუბრის დროს გაირკვა, ბევრ რალაცაზე ვერ შევთანხმდებოდით და საბოლოოდ ასეც მოხდა. ახლა, ალბათ, იტალიის ნაკრებზე გადავიტან ყურებას, თუმცა მგონია, რომ დინო ძოფს „სკუადრა ატურას“ თავკაცობის ყველაზე დიდი შანსი აქვს“ აღნიშნა სკალამ. იტალიური პრესის ცნობით, ნაკრების ამჟამინდელი მწვრთნელის, ჩეზარე მალდინის თანამდებობიდან წასვლის შემთხვევაში ამ პოსტზე დანიშვნის ყველაზე რეალური კანდიდატები ნევიო სკალა, დინო ძოფი და ფაბიო კაპელო არიან.

ჩვენ კი კვლავ ჰიდინკსა და „რეალს“ დავუბრუნდეთ. მათ შორის ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი საათის შემდეგ ლორენცო სანსმა ასეთი განცხადება გააკეთა: „ამ წუთიდან გუს ჰიდინკი მადრიდის „რეალის“ მთავარი მწვრთნელია. დიდი იმედი მაქვს, რომ იგი კონტრაქტში აღნიშნულ ორივე სეზონს აქ გაატარებს და თანაც წარმატებულად, რაც მისი კიდევ უფრო დიდი ხნით დარჩენის გარანტი იქნება. დარწმუნებული ვარ, ჩვენ ერთად ბევრს მივაღწევთ“.

ოპტიმისტურად არის განწყობილი თავად ჰიდინკიც: „რეალის“ პრეზიდენტის წინადადებას ენთუზიაზმით შევხვდი. მიღწეული შეთანხმებით ძალიან გახარებული ვარ. „რეალი“ დიდი გუნდია და მჯერა, რომ აქ გატარებული წლები ჩემთვის ყოველთვის სასიამოვნო მოსაგონარი იქნება“.

ლორენცო სანსის მადრიდული კლუბის პრეზიდენტად დანიშვნის, ანუ 1995 წლის ნოემბრის შემდეგ ჰიდინკი მეექვსე მწვრთნელი იქნება, ვინც ამ პოსტზე მოსინჯავს ძალას. სხვათა შორის, მას უკვე აქვს ესპანეთში მუშაობის გამოცდილება — 1992-93 წლების სეზონში იგი „ვალენსიას“ ხელმძღვანელობდა და სწორედ ამ სპეციალისტის დიდი დამსახურება იყო, რომ ეს გუნდი მეოთხე ადგილზე გავიდა. ისე, მის ყველაზე დიდ საკლუბო წარმატებად 1988 წელს „ეინდჰოვენის“ თავკაცის რანგში ჩემპიონთა თასის მოგება ითვლება.

ჰიდინკი მეორე ჰოლანდიელი სპეციალისტია, ვისაც ოდესმე მადრიდელთათვის უთავკაცია. პირველი ლეო ბეენჰაკერი იყო, რომელიც „რეალის“ მწვრთნელად ჯერ 1986-89, ხოლო შემდეგ 1991-92 წლებში მუშაობდა.

გუს ჰიდინკი თავის მოვალეობის შესრულებას დღეიდან შეუდგება და გუნდთან ერთად სეზონისწინა შეკრებაზე შვეიცარიაში გაემგზავრება.

**დავით ძოვზირიძე**



ჰიდინკი — სანსი: რამდენად მჭიდრო იქნება ეს ალიანსი?

# ავსტრია: 10-ის ნაცვლად 11? თუ 12?

დამდეგი სეზონის წინ ავსტრიულ ფეხბურთში საქმე მთლად აწყობილი რომ ვერ იყო, ამაზე წინა „სარბიელშიც“ ვწერდით. ახლა კი შევეცდებით, უფრო დაწვრილებით მოგითხროთ იქ განვითარებულ მოვლენებზე.

მოგეხსენებათ, ბოლო წლებში ავსტრიულ პირველ დივიზიონში ათი კლუბი მონაწილეობდა და სეზონის გასრულებისას მაჩანჩალა ქვედა ლიგის პირველადგილოსანს უთმობდა ადგილს. წელს კი რატომღაც ყველაფერი თავდაყირა დადგა. მიზეზი მეორე დივიზიონში (მას ახალი სეზონიდან პირველი დივიზიონი დაერქმევა, ხოლო ამ უკანასკნელს კი ბუნდესლიგად მოიხსენიებენ) შექმნილი არეულობები გახლდათ.

გასულ წელს ქვედა ლიგის გამარჯვებული ვორვერტსის „შტეირი“ გახდა და დამსახურებულად მოიპოვა ადგილი ავსტრიულ ელიტაში, მაგრამ ბუნდესლიგის გამგებელმა დიდმოხელეებმა ჩათვალეს, რომ რაკი ამ კლუბს გვარიანი ვალი ჰქონდა, უმაღლეს ლიგაში გამოსვლას ვერაფრით შეძლებდა. ჰოდა, ამდენი ნაწვალებ-ნაჯაფარი საბრალო შტეირს წყალში ჩაუყარეს და ბუნდესლიგაში ასპარეზობის ლიცენზია ჩამოართვეს.

მაგრამ ახალი სეზონიდან მოკვეთილთა ადგილი ვინმეს ხომ უნდა დაეკავებინა? ჩინოვნიკებს ამაზე დიდი ტვინის ჭყლეტვა არ დასჭირვებიათ. მათ ბუნდესლიგის ლიცენზია უყოყმანოდ გადასცეს პირველ დივიზიონში მეორე ადგილზე გასულ „შპიტალს“, რომელსაც, როგორც აღმოჩნდა, ფინანსური თვალსაზრისით, არანაირი პრობლემა არ ჰქონდა.

ამით ყველაფერი მოგვარდა და თითქოს ახალ სეზონსაც უმტკივნეულოდ უნდა მისცემოდა სტარტი, მაგრამ, მოულოდნელად, საქმეში გარიყული „შტეირის“ ხელმძღვანელობა ჩაერია. მათ სასწრაფოდ მოაგვარეს ფინანსური მხარე, თავდებად მეტად გავლენიანი სპონსორები დაიყენეს და ბუნდესლიგის მესვეურთაც აღარაფერი დარჩენოდათ იმის მეტი, რომ ვორვერტსელთა მოთხოვნის სამართლიანობა ეღიარებინათ.

მაინც რას ითხოვდა „შტეირი“? არაფერს ისეთს, რაც მათ არ დაუმსახურებიათ - რაც შეგვეძლო, ყველაფერი გავაკეთეთ, ფულის გაჭირვება აღარ გვაქვს და ბუნდესლიგაში ალალ-მართლად დაბევებული ადგილი დაგვიბრუნეთო.

ავსტრიის ფეხბურთს უფროსებსაც სხვა რა გზა დარჩენოდათ, იძულებული გახდნენ, პირველი დივიზიონის საუკეთესო გუნდი ბუნდესლიგაში დაეშვათ. კი მაგრამ, „შპიტალი“? ამ კლუბს რაღას უპირებენო, იკითხავს მკითხველი.

ამით გამოწვეული სირთულე უპირველესად სწორედ ავსტრიელი ფეხბურთის დიდმოხელეებმა იტვირთეს. საბოლოოდ კი ბედს შეურიგდნენ და ქვეყნის ისტორიაში უპრეცედენტო შემთხვევა დაუშვეს — მომავალი სეზონიდან ავსტრიის ბუნდესლიგაში ათის ნაცვლად 11 გუნდი იასპარეზებს! ის კი არა, როგორც ლიგის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, პეტერ რიცლერმა განაცხადა, ორგანიზატორები სხვადასხვა მიზეზებიდან გამომდინარე, სერიოზულად ფიქრობენ იმაზე, რომ გათამაშებაში 12 მონაწილე დაუშვან.

— ჩვენ ასეთი შემთხვევა ჯერ არ გვქონია. ამიტომ გადაწყვეტილების მიღება, ცოტა არ იყოს, გაგვიჭირდა. ასე რომ, როგორი სისტემით წარიმართება შეჯიბრება, სადღეისოდ არავინ იცის. ერთადერთი, რაზეც დანამდვილებით შეიძლება გაეგცეთ პასუხი, ის არის, რომ ბუნდესლიგა სტარტს ადრე დადგენილი 29 ივლისის ნაცვლად, 1 აგვისტოს აიღებს, რადგან კალენდარი თავიდან უნდა შედგეს.

თუ ბუნდესლიგის საგანგებო გაზეთის ფურცლებს თვალს გადავავლებთ, კარგად დავინახავთ, რომ ხელმძღვანელობას საქმე მოსალხენად ნამდვილად არ აქვს.

— მართალია, თავდაპირველად „შტეირს“ ბუნდესლიგაში ასპარეზობაზე უარი ეთქვა, მაგრამ შემდეგ მათ ყოველგვარი პრობლემა დადებითად გადაჭრეს და ჩვენც იძულებული გავხდით, ადრინდელი გადაწყვეტილება შეგვეცვალა. მაგრამ ამით ხომ „შპიტალის“ უფლებები შეილახებოდა? ამას ვერ დავუშვებდით და სწორედ ამიტომ მომავალი სეზონიდან, უმაღლეს ლიგაში გამოსვლის ნება ორივე გუნდს დავრთეთ — აცხადებს ერთ-ერთი ჩინოსანი.

ახლა შექმნილ ვითარებაზე ბუნდესლიგის ძირძველ ბინადართა რეაქციას აღარ იკითხავთ?

კლუბთა უმეტესობის მენეჯერები გაცეცხლებულნი არიან ფედერაციის ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებით.

„ლასკის“ მფლობელი მაქს ჰაგმეირი გაოგნებული გახლდათ: — ეს ხომ სკანდალის ტოლფასია! ყველაფერი, რაც ხდება, იმას ნიშნავს, რომ ჩვენ მატჩების სატელევიზიო რეპორტაჟებიდან გაცილებით ნაკლებ ფულს მივიღებთ. ყველა კლუბმა ხომ უკვე დიდი ხანია, მიჰყიდა თავისი მონაწილეობით გამართული შეხვედრების ტრანსლირების უფლება კერძო სპონსორებს და ახალი კალენდრის შედგენა ყველაფერს თავდაყირა დააყენებს.

ოვე ფლინდტი, ინსბრუკის „ტიროლის“ მენეჯერი: „ავსტრიულ ფეხბურთში ქაოსი სუფევს. ჩვენ ხომ ახალი სეზონისთვის შედგენილი კალენდარი დაჯბეჭდეთ და უკვე დანიშნული მატჩებისთვის ბილეთებიც მზად გვაქვს. ახლა კი აღმოჩნდა, რომ ამხელა ხარჯი ტყუილად გაგვიწევია და ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყოთ. თანაც უნდა გამოგიტყდეთ, რომ ფეხბურთელებს დამატებით ოთხი თამაშის ჩატარების პერსპექტივა დიდად არ ხიბლავთ“.

მოკლედ, როგორც ვხედავთ, ავსტრიაში სერიოზული ვითარებაა შექმნილი და თუ როგორ განვითარდება მოვლენები, მკითხველს კვლავაც შევატყობინებთ.

**ირაკლი ხმელიძე**

## ფეხბურთის რუკასთან



**ინგლისურმა** „ევერტონმა“ იტალიის „პერუჯადან“ 2,8 მილიონ გირვანქად (4,6 მილიონი დოლარი) მცველი, მარკო მატერაზი შეიძინა. 24 წლის იტალიელი „ევერტონის“ ახალდანიშნული თავკაცის, ვოლტერ სმიტის პირველი შენაძენია. ინგლისური კლუბი კონტრაქტთან დაკავშირებულ დეტალებს არ ააშკარავებს, მაგრამ სავარაუდოდ, რომ ხელშეკრულება ოთხწლიანი იქნება. „დიდებულია, როცა შენს ბედს დიდი ხნით უკავშირებ ისეთ ძლიერ და მდიდარი ისტორიის მქონე კლუბს, როგორიც „ევერტონია“. ინგლისში ასპარეზობით უდიდეს გამოცდილებას შევიძენ. სერია A-ში და პრემიერლიგაში დაახლოებით ერთი დონის ფეხბურთს თამაშობენ. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ადაპტაციის პრობლემა არ მექნება“. რაც შეეხება გუნდის მწვრთნელ, ვოლტერ სმიტს, კაცს, რომელიც აქამდე შოტლანდიურ „გლაზგო რეინჯერსს“ ედგა სათავეში, მან იტალიელ ფეხბურთელზე საუბრისას აღნიშნა: „დიდი ხანია, მატერაზის ვაკვირდები. იგი ჩემზე ყოველთვის დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. მაღალია, ფიზიკურად ძლიერი, საკმაოდ აგრესიული და მარცხენა ფეხსაც მშვენივრად ხმარობს. ასე რომ, მომავალ სეზონში იგი ძლიერ გამოგვადგება“. სმიტის თქმით, მატერაზი მისი ბოლო შენაძენი არ იქნება. იგი კვლავ აგრძელებს ფეხბურთელთა ძებნას.

**შოტლანდიურმა „გლაზგო რეინჯერსმა“ ქვეყნის ახალი სატრანსფერო რეკორდი დაამყარა მას შემდეგ, რაც რუს ლეგიონერ ანდრეი კანჩელსკისში 5,5 მილიონი გირვანქა (9 მილიონი დოლარი) გადაიხადა. 29 წლის ფეხბურთელმა, რომელიც ადრე „მანჩესტერ იუნაიტედში“, „ევერტონში“, და ბოლოს იტალიურ „ფიორენტინაში“ გამოდიოდა, თავის ახალ კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა და ამ ხნის განმავლობაში მისი ანაზღაურება უფრო მეტი იქნება, ვიდრე პოლ გესქოინისა 1995 წელს. „ვფიქრობ, „რეინჯერსი“ ევროპის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი კლუბია და ძალიან მიხარია, რომ მომავალში აქ მომიწევს თამაში. მთავარი მწვრთნელი დიკ ადვოკაატი და კლუბის თავმჯდომარე, დევიდ მიურეი ამბიციური ხალხია და მათ დამიმტკიცეს, რომ „რეინჯერსიც“ ასეთივეა. ველაპარაკე ჩემს თანამემამულე ალექსეი მიხაილიჩენკოს, რომელმაც მითხრა, რომ გლაზგოში ცხოვრება და „რეინჯერსში“ ასპარეზობა ძალიან სასიამოვნოა“. ჰოლანდიელი სპეციალისტი დიკ ადვოკაატი, რომელმაც ახალი ფეხბურთელების შესაძენად უკვე 33 მილიონი დოლარი დახარჯა, კანჩელსკისის გადაბირებით მეტად კმაყოფილი ყოფილა: „4-4-2 სისტემით ვაპირებთ თამაშს და ძალიან კარგია, რომ ასეთი ძლიერი მარჯვენა ნახევარმცველი გვეყოლება“.**

**ესპანურმა** „მალიორკამ“ ქვეყნის მეორე დივიზიონში მოასპარეზე „ლევანტედან“ კამერუნელი ნახევარმცველი, ლავრიანო ეტამე გადაიბირა, რისთვისაც 225 მილიონი პესეტა (1,47 მილიონი დოლარი) გადაიხადა. ეტამე თან ახლდა კამერუნის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატზე და მხოლოდ ჩილელებთან შეხვედრაში გამოჩნდა მოედანზე. ამ მატჩში მარსელო სალასთან უხეშობისთვის 89-ე წუთზე იგი მსაჯმა წითელი ბარათით დასაჯა. 21 წლის ფეხბურთელი თავის ახალ კლუბს თასების თასზე დაეხმარება.

**ინგლისურ „ლივერპულს“ 50 წლის განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა მისტერ ლივერპულად წოდებული ასისტენტი მწვრთნელი რონი მორანი, რომელიც ახლა გადადგომას აპირებს. მორანი კლუბში 1949 წელს, სკოლის დამთავრების შემდეგ მივიდა. ის თავიდან მოთამაშე იყო და 379-ჯერ მოირგო წითელი მაისური, შემდეგ კი მწვრთნელთა ჯგუფს შეუერთდა. 1991 წელს, გუნდის თავკაცის, კენი დალგლიშის გადადგომის მერე მორანი მისი მოვალეობის შესრულებას შეუდგა. 1979-80-იან წლებში, „ლივერპულის“ დიდ წარმატებათა ეპოქაში, მორანმა უდიდესი სამსახური გაუწია კლუბს. მას 24 წლის განმავლობაში უმუშავია ისეთი ლეგენდარული ხალხის მხარდამხარ, როგორებიც იყვნენ ბილ შენკლი და ბობ პეისლი.**

**ინგლისის** ნაკრების ყოფილი ვარსკვლავის ბობი მურის ყოფილმა მეუღლემ ტინა მურმა ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციის მიერ შეთავაზებული 1,65 მილიონი დოლარი იცოტავა. მან განაცხადა, რომ ქმარყოფილის კოლექციას მუზეუმს მხოლოდ იმ შემთხვევაში გადასცემს, თუ მას ორჯერ მეტ ფულს გადაუხდიან. ბობი მურის კოლექციაში 100-ზე მეტი სარელიქვიო ნივთია. მათ შორისაა 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონის მედალი, 1964 წლის ფეხბურთის ასოიაციის თასის მოგებისთვის მიღებული ჯილდო და 1965 წლის თასების მფლობელთა თასის მედალი. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის პრემიერლიგის გუნდებმა მუზეუმს ას-ასი ათასი გირვანქა (165 ათასი დოლარი) გადაურიცხეს, დღეს ტინა მურისთვის შეთავაზებულზე მეტი თანხის გადახდა შეუძლებელიაო, განაცხადა დირექტორმა კევინ მურმა. შეგახსენებთ, რომ ბობი მური ხუთი წლის წინ სიმსივნით გარდაიცვალა. ტინა მურის თქმით იგი თავად აპირებს ამ შემოდგომაზე პრისტონში, პირველი ქმრის სახელობის მუზეუმის გახსნას.

**ვიეტნამის ფეხბურთის ასოციაციამ სასტიკი უარი განუცხადა ეროვნული გუნდის ავსტრიელ მწვრთნელს ალფრედ რიედლს, შეკრების ავსტრიაში მოწყობაზე. ვიეტნამელებს ერთ თვეში ვეფხვის თასის შეხვედრები ელით. უარის მიზეზი ავსტრიული მოგზაურობის სიძვირე ყოფილა. გადაწყდა, რომ ევროპის ნაცვლად გუნდი ჩინეთს გაემგზავრება. ცნობილი გახდა ისიც, რომ არგენტინელმა კარლოს პანჩამემ უარი განაცხადა ვიეტნამის 19 წლიანთა ნაკრების გაწვრთნაზე. მიზეზი აქაც უფულობა იყო, ფედერაცია არგენტინელის მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებდა.**

**ინგლისური** „ბლექბერნ როვერსის“ ცნობით, მისი მოთამაშე კევინ გალაჰერი თიაქრის ოპერაციის გამო ალბათ გამოტოვებს პრემიერლიგის ჩემპიონატის დასაწყისს. საინტერესოა, რომ შოტლანდიელი გალაჰერი მეოთხე ბლექბერნელია, ამ ზაფხულზე საოპერაციო მაგიდას რომ მიაკითხა. მანამდე იყვნენ ბილი მაკკინლი, ჯეისონ ვილკოქსი და დამიენ დაფი.

**ირლანდიურ კლუბ „შელბურნისა“ და შოტლანდიური „გლაზგო რეინჯერსის“ უეფას თასის შეხვედრა, რომელიც წესით დუბლინში უნდა გამართულიყო, მომავალი ოთხშაბათისთვის გადაიდო და ინგლისის პირველ დივიზიონში მოასპარეზე კლუბ „ტრანმერის“ სტადიონზე შედგება, რომელიც მხოლოდ 16 700 მაყურებელს იტევს. ამის მიზეზი ნაცნობია — ბრიტანელი გულშემატკივრების ხულიგნური გამოხდომები, რაც ადგილობრივი პრესის ცნობით, მატჩის დუბლინში ჩატარების შემთხვევაში გარდაუვალი იქნებოდა. ამ გადაწყვეტილებას ორივე გუნდი, დუბლინში მდებარე ბრიტანეთის საელჩო და ირლანდიის ფეხბურთის ფედერაციაც დაეთანხმნენ. ასე რომ, „შელბურნისა“ და „გლაზგო რეინჯერსის“ შეხვედრა 22 ივლისს „პრენტონ პარკზე“ გაიმართება.**

**ფრანგი** სპეციალისტი ჟერარ ჰულიე, გაისად პრემიერლიგის ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი კლუბის „ლივერპულის“ თავკაც როი ევანსს დაეხმარება გუნდის გაწვრთნაში. ამის შესახებ ოფიციალური განცხადება მერსისაიდელთა წარმომადგენლებმა გუშინ გააკეთეს. ჰულიე 1988 წლიდან საფრანგეთის ნაკრების ტექნიკური დირექტორი იყო. მას „ლივერპულის“ გარდა სხვა წინადადებებიც ჰქონია, მათ შორის შოტლანდიის ჩემპიონ გლაზგოს „სელტიკისგან“, მაგრამ მან მაინც ინგლისის ვარიანტი არჩია. როგორც ამბობენ, ამაში გადამწყვეტი როლი ჰულიეს დიდმა მეგობარმა, „ლივერპულის“ ვიცე-თავმჯდომარე პეტერ რობინსონმა შეასრულა. ისინი 1980 წელს ერთ საფეხბურთო სკოლაში მუშაობდნენ.

# კესიდიმ საქმე ჩაიბარა

„ნიუკასლ იუნაიტედის“ ხელმძღვანელობაში ცვლილებებია. არის ასეთი კაცი, „როლს როისის“ ყოფილი შეფი ტირენს ჰარისონი, რომელმაც მაისში დატოვა კლუბი იმ მოტივით, რომ ახალი შთაბეჭდილებანი და ახალი გუნდი სჭირდებოდა. გუშინ მის ნაცვლად მოიიწვიეს 65 წლის დენის კესიდი, ბიზნესმენი და „ნიუკასლის“ ოდინდელი გულშემატკივარი.

კესიდის თანამდებობას კომპანიის თავმჯდომარე ჰქვია, თუმცა ამბობენ, რომ ეს ორი ადამიანი თავის დროზე საკუთარი გუნდის გულშემატკივრებისა და ნიუკასლელი ქალების დაცინვისთვის დაიფრინეს.

დაგლას ჰოლი, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, არის ვაჟი სერ ჯონ ჰოლისა. სერ ჯონ ჰოლი კი დიდად პატივცემული ადამიანია, რომლის თავმჯდომარეობასა და ნიჭს უკავშირდება „ნიუკასლ იუნაიტედის“ წარსული ალმავლობა. სერ ჯონ ჰოლმა შვილისა და შეპერდის გადადგომის შემდეგ კვლავ გაიხსენა ძველი ხელობა, კლუბი მხრებზე წამოიკიდა და ვითარება დააწყნარა, ხოლო ივნისში ხელმეორედ გადადგა თანამდებობიდან.

„ჩვენ კლუბის დირექტორატის ხელახალი დაკომპლექტება ჯერ არ დაგვისრულებია. ველოდებით მთავარი მეწილეები რას გვეტყვიან“ — განაცხადა ახალდანიშნულმა კესიდიმ — „მაგრამ ამოცანას ძალიან მალე გავართმევთ თავს. პრემიერლიგის პირველობა 15 აგვისტოს იწყება და მანამდე ყველაფერს დავალაგებთ“.

კესიდის „ნიუკასლ იუნაიტედის“ ხელახალი განვითარებისთვის 68,7 მილიონი დოლარი ჰქონია გამოყოფილი. ამაშია გათვალისწინებული სტადიონის, „სენტ ჯეიმსიზ პარკის“ განახლებაც. ხსენებულ სარბიელზე კესიდი პირველ თამაშს 1943 წელს დასწრებია და ცხადია, მასზე მოამაგე ადამიანიც გახლავთ. იგი ამბობს, რომ „სენტ ჯეიმსიზ პარკის“ ტევადობა 36 800-დან 51 ათასამდე უნდა გაიზარდოს.

ახალი თავმჯდომარის განცხადებით ამ სეზონში „ნიუკასლის“ მიზანი საუკეთესო ექვსეულში შესვლა და რომელიმე ევროთასზე თამაშის უფლების მოპოვებაა.

კიდევ ერთი სიახლე: 59 წლის ჯონ ჯოზეპსი დამოუკიდებელი და არააღმასრულებელი დირექტორის თანამდებობაზე დაინიშნა.

# რუმინელებს ახალი მწვრთნელი ჰყავთ

რუმინეთის ნაკრების ახალ მწვრთნელად 44 წლის ვიქტორ პიტურკა დაინიშნა. მას ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელების წინადადებაზე ბევრი არ უფიქრია და ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. პიტურკამ ამ თანამდებობაზე ანგელ იორდანესკუ შეცვალა, რომელმაც ჯერ კიდევ მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე საბერძნეთის ნაკრებთან გააფორმა ხელშეკრულება და პირველი აგვისტოდან ჩაუდგება გუნდს სათავეში. პიტურკამ საგანგებოდ მოწყობილ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ნაკრების უმთავრესი მიზანი 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ასპარეზობაა და ამისათვის ყველაფერს გაიღებს. ჰოლანდია — ბელგიაში გასამართი ევროპის ჩემპიონატის საგზურისთვის რუმინელებს პორტუგალიელებთან მოუწევთ ბრძოლა. უნგრეთის, სლოვაკეთის, აზერბაიჯანისა და ლიხტენშტეინის არცთუ ძლიერი ნაკრებების ძლევა ყვითელთავიანებს წესით არ უნდა გაუჭირდეთ.

# მომდევნო ორ ჩემპიონატს ვეღარ ვნახავთ?

მსოფლიოს ნომერი პირველი თამაშის მოყვარულებს შესაძლოა ცუდი დღე გაუთენდეთ. ოთხშაბათს ევროპის სატელეტრანსლაციო გაერთიანებამ (EBV) ოფიციალური განცხადება გააკეთა, რომლის თანახმადაც მსოფლიოს ჩემპიონატზე გამართული მატჩების რეპორტაჟების მოწყობის უფლება სავარაუდოდ კერძო სატელევიზიო კომპანიების ხელში გადავა.

შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში განლაგებული EBV-ს ოფისის წარმომადგენელთა თქმით, ფიფას განზრახული აქვს 2002 და 2006 წლების მსოფლიოს პირველობების გაშუქების უფლება მთლიანად გერმანულ სპორტული მარკეტინგისა და მასმედიის ჯგუფ „კირჩს“ გადასცეს. თავის მხრივ ეს კერძო გერმანული ფირმა თანახმაა, ამ პროექტში 2,8 მილიარდი შვეიცარიული ფრანკი (დაახლოებით 1,8 მილიარდი დოლარი) გადაიხადოს.

ამ ინფორმაციამ უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა მთელი მსოფლიოს საფეხბურთო წრეებში.

— მსოფლიოს ჩემპიონატი ხომ უნიკალური ასპარეზობაა, რომელიც დედამიწის აბსოლუტურად ყველა მცხოვრებს ეძღვნება და ეს სპექტაკლი რაც შეიძლება მეტმა მაყურებელმა უნდა იხილოს. სწორედ ამიტომ ახალი წამოწყება აბსურდად მიმაჩნია და ვთვლი, რომ პირველობის შეხვედრები ისეთი არხებით უნდა გადაიცემოდეს, რომლის მიღების საშუალებაც ყველას აქვს — განაცხადა EBV-ს გენერალურმა მდივანმა ჟან-ბერნარ მიუნხმა.

— 2002 წელს მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩებს მხოლოდ ის გულშემატკივრები ნახავენ, რომელთაც კერძო კომპანიებისთვის უდიდესი თანხები ექნებათ გადახდილი. ეს კი უსამართლოა და ამ მართლაც სულისშემძვრელ სანახაობას მთელს ხიბლსა და სილამაზეს დაუკარგავს — მიუნხს არც ფიფას ერთ-ერთი დიდმოხელე ჩამორჩა.

EBV-ს წარმომადგენლის თქმით, წლევანდელი მსოფლიოს პირველობა ტელევიზიის ისტორიაში უდიდესი მოვლენა იყო. მხოლოდ იმ ფაქტის აღნიშვნა რად ღირს, რომ მატჩების სატელევიზიო რეპორტაჟები მთლიანობაში 37 მილიარდმა კაცმა ნახა.

საფრანგეთი 98-ის სატელევიზიო გაშუქების უფლება ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ ფიფასგან იმ საზოგადოებრივმა არხებმა შეისყიდეს, რომლებიც EBV-ს წევრები არიან. ამ არხებმა უდიდესი ბრძოლა გადაიტანეს კერძო კომპანიებისა და საკაბელო ტელევიზიების მესვეურებთან, რომლებსაც გულშემატკივრების ხარჯზე ხელის მოთბობა სურდათ და კოდირებული ტრანსლაციების მოწყობას აპირებდნენ.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ 1990-დან 1998 წლის ჩათვლით უკანასკნელი სამი მსოფლიოს ჩემპიონატის გადაცემის უფლება სწორედ EBV-ს ჰქონდა და მათი წყალობით ქომაგებმა სამივე ტურნირი თავიდან ბოლომდე იხილეს.

ახლა კი რა ხდება? EBV-ს თავისი პოლიტიკის შეცვლა გადაუწყვეტია, რაც ყველაზე მტკივნეულად ყოვლად უდანაშაულო ფანებზე იმოქმედებს. ევროპის სატელეტრანსლაციო გაერთიანებამ ამ დღეებში ოფიციალურად განაცხადა, რომ შემდეგი ორი მსოფლიოს პირველობიდან რეპორტაჟების უფლების შესყიდვის მსურველებს ელის და თუ ასეთები გამოჩნდებიან, ყოველგვარი უფლება სწორედ მათ ხელში გადავა.

მოკლედ, ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს, სწორედ ამათზეა ნათქვამი. ერთი მხრივ, EBV-ს გენერალური მდივანი გულშემატკივართა უფლებების დაცვაზე ზრუნავს და გაიძახის, რეპორტაჟები უფასო არხებმა უნდა გადასცენო, ხოლო მეორე მხრივ, კონკურსს აცხადებს, რათა ტრანსლაციის უფლება რომელიმე მდიდარ კერძო კომპანიას გადასცეს.

თუმცა გუშინდელ გამოსვლაში EBV-ს წარმომადგენელმა ჟან პიერ ჟულიენმა ყოველივე ფიფას გადააბრალა და თავისი კომპანია უცოდველ კრავად წარმოადგინა.

— ფიფა სატელევიზიო რეპორტაჟებსა და მსგავს საკითხებზე უპირველესად ყოველთვის ჩვენ გვეთათბირებოდა, რადგან EBV საზოგადოებრივი მომსახურების ორგანიზაციას წარმოადგენს და მას თითოეული ტელემაყურებლის უფლებების დაცვაც ევალება. თუმცა, სამწუხაროდ, ჩვენ დიდი ფულის პატრონი არ ვართ და ფიფამაც უფრო მდიდარი პარტნიორის ძებნაში ზურგი გვაქცია. ისინი ხომ მუდამ ფულზე ფიქრობენ, სპორტის განვითარება კი სულაც არ ანაღვლებთ — განაცხადა ჟულიენმა. თუმცა, რაც უნდა ილაპარაკონ პატივცემულმა პირებმა ფაქტი ერთია — მათ ორთაბრძოლაში ყოვლად უდანაშაულო, ფეხბურთზე უზომოდ შეყვარებული ქომაგები იჩაგრებიან და ეს დაუყოვნებლივ დაფიქსირებას მოითხოვს.

**ირაკლი ხმელიძე**



REUTERS კიევიდან

# ჩვენამდე

**უკრაინა 1:2 პოლონეთი**

0:1 სვერჩევსკი (10), 0:2 ჩერეშჩევსკი (54), 1:2 შევჩენკო (88)

**უკრაინა:** შოვკოვსკი, სტაროსტიაკი, ნიკიტინი (დმიტრულინი 46), იეზერსკი (ონოპკო 46), პოპოვი (მიხაილენკო 46), ჩიჟევსკი (ვაშჩუკი 46), სკაჩენკო (შევჩენკო 46), კალიტვინცევი (ვენგლინსკი 79), ზუბოვი (კოლოსკოვი 46), კრივენცოვი (გუსინი 46), ციხმეისტრუკი (რებროვი 46)

**გაძევება:** კნოსი (პოლონეთი 63)

19 აგვისტოს კიევში საქართველოს ნაკრებთან თამაშამდე თვით ადრე, ოთხშაბათს უკრაინამ პოლონეთს უმასპინძლა.

პოლონელები პირველ ტაიმშივე დაწინაურდნენ უკრაინის შესუსტებულ შემადგენლობასთან და ეს უპირატესობა მეორე ტაიმის დასაწყისისთანავეც გაზარდეს. მასპინძელთა პრესტიჟის გოლი შეცვლაზე შესულმა ანდრეი შევჩენკომ გაიტანა. კაცნაკლულად დარჩენილმა პოლონეთმაც მოახერხა მატჩის საბოლოო გამარჯვებამდე მიყვანა და 27 მაისს მარცხნაწვნევ რუსეთს უკრაინაც მიაყოლა.

# რუსეთში დიდი ცვლილებები იქნება

რუსეთის ნაკრების ბოლოდროინდელი უღიმღამო ასპარეზობის შემდეგ ამ ქვეყნის ფეხბურთში ძირფესვიანი რეფორმების გატარებაა მოსალოდნელი.

— 23 ივლისს რუსეთის საფეხბურთო კავშირი ოფიციალურად დანიშნავს ნაკრების ახალ მწვრთნელს — განაცხადა გუშინ ჟურნალისტებისთვის გამართულ პრესკონფერენციაზე გაერთიანების ახლანდელმა პრეზიდენტმა ვიაჩესლავ კოლოსოკვმა, რომელიც ამ პოსტზე 1979 წლის შემდეგ მოღვაწეობს.

ნაკრების თავკაცობაზე პრეტენზიას ოთხი განდიდატი აცხადებს. ესენი მოსკოვის „სპარტაკის“ მთავარი მწვრთნელი ოლეგ რომანცევი, ვოლგოგრადის „როტორის“ დამრიგებელი ვიქტორ პროკოპენკო, სანკტ პეტერბურგის „ზენიტის“ ხელმძღვანელი ანატოლი ბიშოვეცი და ამ მოვალოების დროებით შემსრულებელი მიხეილ გერშკოვიჩი არიან. თუმცა თუ კოლოსკოვის სიტყვებს ვენდობით, საპატიო თანამდებობის დაკავების ყველაზე დიდი შანსი 50 წლის გერშკოვიჩს აქვს.

# ომი ძალადობის კულტურას!

გერმანიის მთავრობამ გადაწყვიტა საფეხბურთო ხულიგნობას დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადოს. ამისათვის მან ქვეყნის პოლიციას ცნობილ ჩხუბისთავთა აღრიცხვა და სტადიონზე მისვლამდე დაოკება მოსთხოვა.

მოთხოვნას პროტესტი მოჰყვა. გერმანელ პოლიციელთა კავშირის შეფმა, ოპოზიციურმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ და გულშემატკივართა ჯგუფებია ლიდერებმა განაცხადეს, რომ მთავრობის ეს ნაბიჯი სექტემბრის არჩევნებისწინა ილეთია და მეტი არაფერი.

შინაგან საქმეთა მინისტრის მანფრედ კანტერის თქმით კი გერმანელ ხულიგანთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ნაცემ-დარბეულის დავიწყება დაუშვებელია. დაუშვებელია იმიტომაც, რომ გერმანია 2006 წლის ჩემპიონატის ჩატარებისთვის იბრძვის.

„კრიმინალებს შანსი არ უნდა მივცეთ“ — ბრძანა კანტერმა ბონში გამრთულ პრესკონფენრენციაზე — „მე ხელქვეითებს უწინდელზე გაცილებით მკაცრი ჯგუფების ჩამოყალიბებას მოვთხოვ.“

კანტერმა ისიც თქვა, რომ დროა ხულიგნებისთვის მოგაზურობის აკრძალვის კანონი გამოიცეს. დროა პოლიციას ნება დაერთოს მათ მანქანები ჩამოართვან და თუ საჭირო გახდება, წინასწარვე დააპატიმრონ წესრიგის ცნობილი დამრღვევები.

„გვჭირდება საგანგებო ზომები ძლადობის კულტურასთან დასაპირისპირებლად. მომავლის იმედად ყოფნა არა გვარგებს“ — განაცხადა მწვანეთა პარტიის პრესატაშემ ფოლკერ ბეკმა და დასძინა, რომ მდიდარმა საფეხბურთო კლუბებმა თავად უნდა გაიღონ ფული ამ საქმისთვის.

რაც შეეხება 21 ივნისს, ქალაქ ლანსში გერმანელი ხულიგნების მიერ ფრანგი პოლიციელის დანიელ ნიველის სასტიკად ცემის ამბავს, კანტერის თქმით ასეთი ექსცესების თავიდან ასაცილებლად გერმანულ პოლიციას ორი ქვეყნის საზღვარზე ჩხრეკის მოწყობით სურდა, მაგრამ:

„ეს თივაში ნემსის ძებნას ჰგავს.“

ამასობაში პოლიციის პროფკავშირის შეფმა ჰერმან ლუტცმა განაცხადა, რომ კანტერის მეთოდები ველური დასავლეთის ისტორიებს აგონებს და მათ დემოკრატიასა და კანონთან არაფერი აქვთ საერთო.

„გერმანელი პოლიციელები გაცილებით გონებაგახსნილნი არიან, ვიდრე კანტერს ჰგონია“ — დასძინა მან — „რასაც აპირებენ, ზოგადად, გულშემატკივართა წინააღმდეგ გალაშქრებაა, რადგან ამა თუ იმ ინციდენტში მონაწილეობისგან დაზღვეული არავინ არის.“

# გრასჰოპერი შერცხვა

ვანკდორფი. 15 ივლისი. 8700 მაყურებელი

**იანგ ბოიზი 3:1 გრასჰოპერი**

1:0 ბური (34), 2:0 დრაკოპულოსი (61), 3:0 გერბერი (74), 3:1 ნკუფო (81)

**გრასჰოპერი:** ცუბერბიულერი (4), ჰაასი (4), გრენი (2), სმილიანიჩი (2, მაცარელი 68), კრისტი (3, ცანი 65), ტარარხე (3, მაგრო 65), ტიკვა (3), ფოგელი (3), ნკუფო (4), ყაველაშვილი (2)

„გრასჰოპერმა“ ჩემპიონატის პირველივე შეხვედრაში სენსაციური მარცხი იწვნია. მართალია, გუნდი შესუსტებული შემადგენლობით წარსდგა მეტოქის წინაშე, მაგრამ ასე მაინც არ უნდა შერცხვენილიყო — ასეთი გახლდათ შვეიცარიული პრესის მატჩისშემდგომი შეფასება. თურქილმაზი, კომიზეტი, ესპოზიტო და ნემსაძე კალიებისთვის უდიდესი ძალაა, მათ ტრავმების გამო არ უთამაშიათ, მიუხედავად ამისა, „გრასჰოპერის“ მარცხს ლიგაში წელს აღზევებულ „იანგ ბოიზთან“ არავინ ელოდა.

სტუმრებმა ამ მატჩში სამი გოლი გაუშვეს და სამივე დაცვის უხეში შეცდომების შედეგად. პირველად მცველები 34-ე წუთზე შეცდნენ, როდესაც ბურის გოლის გატანაში ხელი ვერ შეუშალეს. 61-ე წუთზე ფოგელმა ცენტრში ბურთი დაკარგა, მასპინძელთა სწრაფი კონტრშეტევა კი დრაკოპულოსის მეორე გოლით დასრულდა. 73-ე წუთზე სამი იანგბოიზელი ორი ციურიხელის წინააღმდეგ გავიდა, რიცხობრივი უპირატესობა მასპინძლებმა კარგად გამოიყენეს და საჯარიმოში უმეთვალყურეოდ მიტოვებულ გერბერს ახლო მანძილიდან კარის მესამედ აღება არ გასჭირვებია. ერთადერთი, რაც კალიებმა მოახერხეს, ყაველაშვილის პასით „ლოზანადან“ ახალშეძენილი ნკუფოს თავით გატანილი პრესტიჟის გოლი იყო, რითაც დიდი ანგარიშით მარცხს გადაურჩნენ. თამაშის შემდეგ „გრასჰოპერის“ მწვრთნელი როლფ ფრინგერი დაბნეული ჩანდა: „კარგად დავიწყეთ, მაგრამ ზეწოლა აღარ გავაძლიერეთ, შემდეგ კი სულელური შეცდომები დავუშვით, რაც მეტოქემ კარგად გამოიყენა და დაგვსაჯა“. ამასვე ფიქრობდა გუნდის მცველი, მათს გრენი, რომელმაც სმილიანიჩთან და ყაველაშვილთან ერთად ყველაზე დაბალი შეფასება მიიღო.

„ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ჩვენი ახალგაზრდული გუნდი „გრასჰოპერის“ დამარცხებას მოახერხებდა, ჩემპიონატი ჯერ არც დაწყებულა, ჩვენ კი უკვე შეგვიძლია ვიამაყოთ“ — ეს სიტყვები „იანგ ბოიზის“ ფეხბურთელს ადმირ სმაჯიჩს ეკუთვნის. შეგახსენებთ, რომ ეს მატჩი მეორე ტურში უნდა გამართულიყო, მაგრამ იმ დროს „გრასჰოპერს“ ლუქსემბურგის „ჟენესთან“ ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო რაუნდის შეხვედრა უწევს.

**ვანო ოქროპირიძე**

*„გრასჰოპერის“ შემადგენლობას ფრჩხილებში შვეიცარიულ გაზეთ „ბლიკის“ შეფასებები აქვს მითითებული. უმაღლესი ნიშანი ხუთია.*

**„გრასჰოპერის“ კალენდარი შვეიცარიის ჩემპიონატში**

| | |
|---|---|
| 18.07.98 | გრასჰოპერი — ლოზანა |
| 25.07.98 | გრასჰოპერი — ლუგანო |
| 02.08.98 | სიონი — გრასჰოპერი |
| 08.08.98 | გრასჰოპერი — არაუ |
| 16.08.98 | ციურიხი — გრასჰოპერი |
| 21.08.98 | გრასჰოპერი — სერვეტი |
| 29.08.98 | ბაზელი — გრასჰოპერი |
| 08.09.98 | გრასჰოპერი — ქსამაქსი |
| 12.09.98 | სენტ გალენი — გრასჰოპერი |
| 19.09.98 | გრასჰოპერი — ლუცერნი |
| 26.09.98 | ლოზანა — გრასჰოპერი |
| 03.10.98 | გრასჰოპერი — იანგ ბოიზი |
| 17.10.98 | ლუგანო — გრასჰოპერი |
| 25.10.98 | გრასჰოპერი — სიონი |
| 01.11.98 | არაუ — გრასჰოპერი |
| 08.11.98 | გრასჰოპერი — ციურიხი |
| 14.11.98 | სერვეტი — გრასჰოპერი |
| 22.11.98 | გრასჰოპერი — ბაზელი |
| 28.11.98 | ქსამაქსი — გრასჰოპერი |
| 06.12.98 | გრასჰოპერი — სენტ გალენი |
| 13.12.98 | ლუცერნი — გრასჰოპერი |

# სპორტული ლატარია "CROCO"

### ინტერტოტოს თასი. მესამე ეტაპი. 18-19 ივლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| დებრეცენი (უნგრეთი) — ჰანზა (გერმანია) | (7,5-1,05) | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| ჰარელბეკი (ბელგია) — სამპდორია (იტალია) | (7,5-1,05) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ოსერი (საფრანგეთი) — ესპანიოლი (ესპანეთი) | (1,5-2,0) | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| რუხი (პოლონეთი) — ამადორა (პორტუგალია) | (3,5-1,2) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ვალენსია (ესპანეთი) — შინიკი (რუსეთი) | (1,35-2,5) | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| კრ. პალასი (ინგლისი) — სამსუნსფორი (თურქეთი) | (1,6-1,8) | 1,8 | 3,1 | 3,8 |
| სიტარდი (ჰოლანდია) — ვორსკლა (უკრაინა) | (1,5-2,0) | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| ბოლონია (იტალია) — ნაციონალი (რუმინეთი) | (1,05-7,5) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| ბასტია (საფრანგეთი) — ალთაი (თურქეთი) | (1,05-7,5) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| ლომელი (ბელგია) — ვერდერი (გერმანია) | (5,0-1,1) | 3,1 | 3,0 | 2,1 |
| ტვენტე (ჰოლანდია) — ზალცბურგი (ავსტრია) | (1,6-1,8) | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| ვოივოდინა (იუგოსლავია) — ბალტიკა (რუსეთი) | (2,0-1,5) | 2,0 | 2,9 | 3,4 |

### ჩემპიონთა თასი. 22 ივლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სელტიკი (შოტლანდია) — სენტ პატრიკი (ირლანდია) | (1,01-15,0) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| ობილიჩი (იუგოსლავია) — ვესტმანაეიარი (ისლანდია) | (1,05-7,5) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| ჰიკი (ფინეთი) — ერევანი (სომხეთი) | (1,15-4,0) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| ლიტექსი (ბულგარეთი) — ჰალმსტადი (შვედეთი) | (2,5-1,35) | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| სტიაუა (რუმინეთი) — ფლორა (ესტონეთი) | (1,01-15,0) | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| ლკს (პოლონეთი) — ქიაფაზი (აზერბაიჯანი) | (1,05-7,5) | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| კარედა (ლიტვა) — მარიბორი (სლოვენია) | (2,8-1,3) | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| დინამო (საქართველო) — ვლაზნია (ალბანეთი) | ანგარიში — 5,0 | | | |
| ლა ვალეტა (მალტა) — ანორთოსისი (კვიპროსი) | (5,0-1,1) | 3,3 | 3,0 | 2,0 |
| ზიმბრუ (მოლდოვა) — უიპეშტი (უნგრეთი) | (4,0-1,15) | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| გრასჰოპერი (შვეიცარია) — ჟენესი (ლუქსემბურგი) | (1,01-15,0) | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| დინამო (უკრაინა) — ბარი თაუნი (უელსი) | (1,01-15,0) | 1,01 | 10,0 | 20,0 |
| სილეასი (მაკედონია) — ბრიუგე (ბელგია) | (7,5-1,05) | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| ბეითარი (ისრაელი) — ტორსჰაგენი (ფარერები) | (1,01-15,0) | 1,01 | 10,0 | 20,0 |
| კოშიცე (სლოვაკეთი) — კლიფტონვილი (ჩრ. ირლანდია) | (1,05-7,5) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| სკონტო (ლატვია) — დინამო (ბელარუსი) | (2,1-4,5) | 1,9 | 3,0 | 3,5 |

### უეფას თასი. პირველი ეტაპი. 22 ივლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| არჯეში (რუმინეთი) — დინამო (აზერბაიჯანი) | (1,05-7,5) | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| ბელშინა (ბელარუსი) — ცსკა (ბულგარეთი) | (3,5-1,2) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ლინფილდი (ჩრ. ირლანდია) — ომონია (კვიპროსი) | (2,0-1,5) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ბირკირკარა (მალტა) — შახტიორი (უკრაინა) | (15,0-1,01) | 6,5 | 3,6 | 1,4 |
| კოლხეთი (საქართველო) — ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) | ანგარიში — 5,0 | | | |
| ინტერი (სლოვაკეთი) — ტირანა (ალბანეთი) | (1,1-5,0) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| სადამი (ესტონეთი) — პოლონია (პოლონეთი) | (7,5-1,05) | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| პაფნარი (ფარერები) — ვაასა (ფინეთი) | (7,5-1,05) | 4,7 | 3,3 | 1,6 |
| ჟელეზნიჩარი (ბოსნია) — კილმარნოკი (შოტლანდია) | (2,0-1,5) | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| მურა (სლოვენია) — დაუგავა (ლატვია) | (1,5-2,0) | 1,6 | 3,3 | 4,7 |
| აკრანესი (ისლანდია) — ჟალგირისი (ლიტვა) | (2,1-1,45) | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| ჰაპოელი (თელ ავივი, ისრაელი) — ფინპა (ფინეთი) | (1,35-2,5) | 1,45 | 3,5 | 6,0 |
| შირაქი (სომხეთი) — მალმიო (შვედეთი) | (15,0-1,01) | 6,0 | 3,3 | 1,5 |
| ეკერენი (ბელგია) — სარაევო (ბოსნია) | (1,15-4,0) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| შელბურნი (ირლანდია) — რეინჯერსი (შოტლანდია) | (15,0-1,01) | 5,3 | 3,1 | 1,6 |
| ოცელული (რუმინეთი) — სლოგა იუგომაგნატი (მაკედონია) | (1,45-2,1) | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| უნიონი (ლუქსემბურგი) — გიოტებორგი (შვედეთი) | (15,0-1,01) | 7,5 | 4,0 | 1,3 |
| ფერენცვაროში (უნგრეთი) — პრინჩიპატი (ანდორა) | (—-25,0) | 1,01 | 10,0 | 20,0 |
| ტილიგული (მოლდოვა) — ანდერლეხტი (ბელგია) | (15,0-1,01) | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| ნიუთაუნი (უელსი) — ვისლა (პოლონეთი) | (7,5-1,05) | 5,6 | 3,4 | 1,5 |

### შვეიცარიის ჩემპიონატი. I ტური. 18 ივლისი.

| | | | |
|---|---|---|---|
| სტ. გალენი — იანგ ბოისი | 1,6 | 3,0 | 5,0 |
| ლუცერნი — ციურიხი | 1,9 | 2,8 | 3,3 |
| სერვეტი — აარაუ | 1,5 | 3,1 | 6,0 |
| ბაზელი — სიონი | 2,1 | 2,9 | 3,1 |
| ქსამაქსი — ლუგანო | 1,3 | 3,4 | 7,0 |
| გრასჰოპერი — ლოზანა | 1,4 | 3,2 | 6,5 |

**კვირას, 19 ივლისს კროკო არ იმუშავებს**

**სამშაბათიდან, 21 ივლისიდან კროკო ძველი განრიგით იმუშავებს**

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე

**თბილისში** — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან; №2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე; №63 ვარკეთილი. I მიკრორაიონი, XV კორპუსი; №67 გლდანი. I სავაჭრო ცენტრი;

**ქუთაისში** — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში;

**ბათუმში** — გორგასლის (ყოფილი ცხაკაიას) ქუჩა 4, ყოფილ კომისარიატთან;

**რუსთავში** — კინოთეატრი „რუსთაველი"; XVI მიკრორაიონი 2; კოსტავას გამზირი 17.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

წყალბურთი

# საქართველოში წყალბურთი არ ჩაკვდება

ეს აზრი ლაიტმოტივად გასდევდა საქართველოს წყალბურთელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის გელა ტუკვაძის საუბარს. მასთან შეხვედრის მიზეზი ჩვენი ნაკრების ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპში მონაწილეობა გახლდათ. ეს ტურნირი თურქეთში გაიმართა, მაგრამ სიახლოვის მიუხედავად, ამბავს კანტი-კუნტად ვიგებდით. ამიტომ მწვრთნელს შედეგების შეფასებასთან ერთად სათამაშო პერიპეტიებზე თხრობაც ვთხოვეთ.



ზურაბ [illegible] ფოტო

გელა ტუკვაძე

— როცა თურქეთში მივდიოდით, იმ რვა გუნდს შორის შოხვედრას ვგეგმავდით, რომელთაც შემდეგ ეტაპზე ასპარეზობის უფლება ეძლეოდათ. ჩვენს ქვეჯგუფში გამოდიოდნენ საფრანგეთის, სლოვენიის, ბელარუსის, თურქეთისა და მალტის გუნდები. მე რეალურად ვაფასებდი ჩვენი ნაკრების შანსებს და ამ კომპანიაში მინიმუმ მეოთხე ადგილის დაკავებას ვვარაუდობდი. საამისო ძირითად კონკურენტებად თურქეთისა და მალტის გუნდებს მივიჩნევდი და საბოლოოდ ყველაფერი მართლაც ასე მოხდა.

რაც შეეხება ცალკეულ შეხვედრებს, პირველი მატჩი სლოვენიასთან გვქონდა. დასაწყისში წყნარად ვმოქმედებდით, ვცდილობდით, ზუსტად გვეთამაშა და ასეთმა ტაქტიკამ გაგვიმართლა — პირველი ორი ტაიმის მერე 4:0 ვიგებდით, მაგრამ საბოლოოდ 8:5 წავაგეთ. ძალიან იშვიათია, როცა გუნდი რიცხობრივ უპირატესობას ყოველთვის იყენებს. ჩვენ რიცხვმრავლობა თითქმის სრულიად გამოვიყენეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ პირველ ტაიმში, მეტოქეს კი ასეთი პიკის მომენტი მეორე ტაიმიდან დაუდგა და ამან გადაწყვიტა კიდეც შეხვედრის ბედი.

მეორე მატჩი ბელარუსებთან გვქონდა. ეს ჩვენზე გაცილებით ძლიერი გუნდია. მთელი შეხვედრა წინაც იყვნენ, თამაშსაც ისინი აკონტროლებდნენ, არ ცდებოდნენ, პირიქით, ჩვენ გვაიძულებდნენ შეცდომების დაშვებას, ასე რომ, კანონზომიერად მოგვიგეს.

მომდევნო შეხვედრა, თურქებთან, ღია აუზში გვქონდა დანიშნული, მაგრამ ზედ თამაშის წინ საშინელი ქარიშხალი ამოვარდა. მატჩი ერთი საათით გადაიდო და ბოლოს დახურულ აუზში გაიმართა. საკმაოდ მძიმე თამაში თანაბრად წარიმართა. დამთავრებამდე 4 წუთით ადრე 9:6 ვიგებდით, მაგრამ სამ წუთში სამი ბურთი გავუშვით. მერე ისევ ჩვენებმა იძალეს და დამთავრებამდე 40 წამით ადრე კვლავ წინ გავიდნენ — 10:9. ამ კრიტიკულ მომენტში მსაჯმა სრულიად უსაფუძვლოდ გააგდო ჩვენიანი და თან 4-მეტრიანიც დანიშნა ჩვენს კარში, რამაც თურქებს ანგარიშის გათანაბრების შანსი მისცა. მსაჯობაზე საუბარი არ მჩვევია, მაგრამ ამ შემთხვევაში შვედმა, განსაკუთრებით კი პოლონელმა არბიტრებმა ნამდვილად დაგვჩაგრეს: ჩვენი მოთამაშეები 17-ჯერ გააძევეს, მეტოქენი კი მხოლოდ 5-ჯერ.

**— სამ წუთში სამი ბურთის გაშვება მხოლოდ არბიტრის ბრალი არ შეიძლება იყოს. მაშ რას უნდა მივაწეროთ ეს?**

— ასეთი რამ შესაძლოა შეცდომების ბრალიც იყოს, მაგრამ აქ ნამდვილად იყო მსაჯის ფაქტორი. სლოვენიასთან წაგებას მსაჯობას ხომ არ ვაბრალებ, იმ მატჩში მისი მოქმედება — გაგდებაც, დაჯარიმებაც და სხვა, კანონზომიერი იყო. თურქებთან შეხვედრაში კი ხან შეტევისას გაგვიძევებდნენ ხოლმე მოთამაშეს, ხან ოთხმეტრიან საჯარიმოს დაგვინიშნავდნენ და ა.შ. არც თურქეთია ის გუნდი, ასეთი შანსი არ გამოიყენოს.

**— დავუბრუნდეთ ისევ მატჩებს.**

— მომდევნო მალტას მოვუგეთ. მთელი თამაში ინიციატივა ჩვენი იყო, თუმცა აქაც თამაშის ბოლოს ორბურთიანი უპირატესობა გავანიავეთ და საბოლოოდ მინიმალური სხვაობით 10:9 მოვიგეთ. ჯგუფის ბოლო მატჩში, ფრანგებთან, როგორც მოსალოდნელი იყო, დავმარცხდით. ჩვენმა ნაკრებმა საბოლოოდ მეხუთე ადგილი დაიკავა ჯგუფში და წინ მყოფ თურქებს მხოლოდ ბურთების უარესი შეფარდებით ჩამოვრჩით. ამის შემდეგ მე-9 ადგილისთვის შევხვდით მეორე ქვეჯგუფში ასევე მეხუთე ადგილზე გასულ ბელგიას და 8:7 მოვუგეთ. უპირატესობა თითქოს მინიმალურია, მაგრამ თამაშის მსვლელობისას წუთითაც არ დავეჭვებულვარ გამარჯვებაში.

**— ჩვენს ნაკრებს თამაშის ბოლოს უჭირდა და აგებდა კიდეც. რისი ბრალი იყო ეს — ფიზიკური მოუმზადებლობის, ბრძოლის უუნარობის თუ სხვა ფაქტორების?**

— სწორად შენიშნეთ, ყველა მატჩი, ფაქტობრივად, ბოლო წუთებში წავაგეთ. თუმცა, იმასაც გეტყვით, რომ გუნდმა პირველი ორი თამაშის შემდეგ აშკარად მოუმატა და მესამედან მოყოლებული უფრო მობილიზებული, სტაბილური და საკუთარ ძალებში დარწმუნებული ჩანდა. ფიზიკური და ასე ვთქვათ, წმინდა საცურაო კონდიციებით ურიგოდ არ გამოვიყურებოდით, თუმცა ალბათ სათანადოდ მომზადებულებიც ვერ ვიყავით. ბრძოლისუნარიანობაზე მეტად გამოცდილება გვაკლდა. ტურნირზე, უკვე გითხარით, მსაჯის ფაქტორმაც გვაზარალა, მაგრამ სულაც არ მინდა, ყველაფერი ამას დავაბრალო. ბოლოს და ბოლოს, ბელარუსებმა თურქები ისე დაამარცხეს, რომ მსაჯმა ვერაფერი დააკლო, მაგრამ რომ არა მსაჯის არაობიექტურობა, რვა გუნდს შორის მეშვიდე ადგილზე გასვლა ნამდვილად შეგვეძლო.

**— სტამბოლის ტურნირით კიდევ ერთხელ მოგეცათ შესაძლებლობა, ჩვენებური წყალბურთის დონე ევროპულთან შეგედარებინათ.**

— მომეცა და თვალნათლივაც დავინახე ის სხვაობა, რომელიც არსებობს ჩვენსა და ფრანგებს შორის, ჩვენსა და ევროპის ლიდერებს შორის. ერთსაც ვიტყვი — გუნდში რომ რეზო ჩომახიძე მყავდეს, ალბათ ევროპის 10-12 უძლიერეს გუნდში თავისუფლად მოვხვდებოდით.

**— მოთამაშეებიდან ვის გამოყოფდით?**

— პირველ რიგში, მეკარე ნიკა ასათიანს. სლოვენიის ტურნირთან შედარებით მან საგრძნობლად მოუმატა. იგი იტალიის უმაღლესი ლიგის ერთ-ერთ მოწინავე გუნდის სათადარიგო მეკარეა, ინტენსიურად ვარჯიშობს და შედეგიც ჩანს. კარგად ითამაშეს ლაითაძემ, ალფაიძემ, მაღლაკელიძემ და წელმტკივანმა დავითიანმა. ახალგაზრდული ნაკრებიდან აყვანილმა მიხეილ ოგანეზოვმა დიდი გამოცდილება შეიძინა. ყველაზე ხშირად შეცვლებისას წორედ იგი შეგვყავდა და ორი გოლის გატანაც მოასწრო. განსაკუთრებით მინდა გამოვყო თამაზ კუტივაძე, რომელმაც მართლაც შესანიშნავად ითამაშა, დაახლოებით იმ დონეზე, ათი წლის წინ რომ თამაშობდა. მისი ნაკრებში მიწვევა ცენტრალური თავდამსხმელის პოზიციაზე შექმნილი ვაკუუმით იყო გამოწვეული, თავდასხმის ხაზი გუნდის სუსტი რგოლი იყო, კუტივაძის წყალობით კი იგი ნორმალური გახდა.

**— მომავალშიც ათამაშებთ მას ამ პოზიციაზე თუ სხვას გამოცდით?**

— თამაზს თავისი საქმე აქვს მისახედი. ჩვენ მისი დიდად მადლიერნი ვართ დახმარებისთვის. მომავალში ამ პოზიციაზე გიორგაძეს ან ჩოდრიშვილს გამოვცდი.

**— ნაკრების ეს მარცხი მის სამომავლო ბედზე ცუდად ხომ არ იმოქმედებს?**

— ჯერ იმას გეტყვით, რომ მნიშვნელოვან სასიკეთო ძვრებს ვერც გამარჯვება გამოიწვევდა, რადგან ფედერაცია მაქსიმუმს გვიკეთებს და მეტის გაკეთების თავი მას არა აქვს. რაც შეეხება ამ წაგებას, მდგომარეობა უარესობისკენ არ უნდა შეიცვალოს. თურქეთიდან დაბრუნებისთანავე შევხვდი ფედერაციის პრეზიდენტ ვლადიმერ გოიაშვილს და ამ შეხვედრაზე მხოლოდ მომავალზე და სამომავლო გეგმებზე იყო საუბარი. ასე რომ, იმედი მაქვს, ნაკრები ფედერაციის ხელშეწყობით კიდევ უფრო გაძლიერდება.

**— კონკრეტულ სამომავლო გეგმებში რა შედის?**

— დაზუსტებით ჯერ ვერაფერს გეტყვით სამომავლო კალენდარზე, რადგან მანამდე ფინანსური საკითხებია მოსაგვარებელი. გაისად მსოფლიო უნივერსიადაა, მაგრამ არ ვიცი, მივიღებთ თუ არა მასში მონაწილეობას. იგივე შეიძლება ითქვას სხვა ტურნირებზეც.

ირაკლი თავაძე

სროლა

# ბარსელონაში სროლა იქნება

გუშინ ბარსელონაში დაიწყო მსოფლიოს ჩემპიონატი ტყვიის სროლაში. ესპანეთში საქართველოდან დეპარტამენტის ხარჯით გაემგზავრა ნინო სალუქვაძე, რეგიონალური დახმარებით კი ქუთაისელი ნინო უჩაძე და ბათუმელი დარეჯან დუმბაძე.

ბარსელონაშივე გაიმართება მსოფლიო თასის ერთ-ერთი ეტაპი სასტენდო სროლაში, რომელშიც იასპარეზებენ თამაზ იმნაიშვილი და დავით ქვათაძე.

რაგბი

# ფრანგები შემოგვეჩვივნენ

რაგბის კავშირის ცნობით, საქართველოს ნაკრების ერთბაშად ორი წევრი — ლევან ცაბაძე და ზაზა ლეჟავა საფრანგეთის უმაღლესი ლიგის კლუბებში გადავიდნენ. ცაბაძე („ლეონსიო") „ნარბონას" წევრი გახდა, ხოლო ლეჟავა („ლეჟო") „ორიაკისა".

სხვათა შორის, „ყოჩების" ამასწინანდელ ფრანგული ტურნეს დროს უმაღლესი ლიგის „ტულონს" კობახიძისა და ურუშაძის გადაბირება მოუწადინებია, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობის მოულოდნელი შეცვლის გამო გარიგება ჩაშლილა. ჩვენი მორაგბეების ფრანგული ტრანსფერები დღის წესრიგში „ბორჯღალოსნების" მომავალ ფრანგულ ტურნეს დროსაც იქნება.

ჭიდაობა

# მოდი, ვნახოთ ალბანეთი...

## მოჭიდავეები თავიანთ ამბებზე და იმ ქვეყანაზე, სადაც ჩვენი ფეხბურთელებიც უნდა ჩავიდნენ

ორიოდე დღის წინ ალბანეთის დედაქალაქ ტირანაში დასრულდა იუნიორთა ევროპის ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. ალბანეთიდან ცნობები კანტი-კუნტად მოდიოდა, ამბის დაზუსტებით გაგება ძალიან ჭირდა. ის კი შევიტყვეთ, რომ სამი პრიზიორი გვყავდა, მაგრამ კონკრეტულად ვინ — ვერა. ამიტომ ისევ გუნდის ჩამოსვლას უნდა დავლოდებოდით ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად. ამასთან ალბანეთის დღევანდელობაც გვაინტერესებდა, რადგან ამ ქვეყანას ჩვენი ფეხბურთელებიც უნდა ეწვივნონ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრის ჩასატარებლად. ცოტა არ იყოს, ისიც გვიკვირდა, რატომ დააკისრა ფილა-მ ჭაბუკებისთვის პრესტიჟული ამ ტურნირის მასპინძლობა პოლიტიკურ-ეკონომიკურად არასტაბილურ ქვეყანას, რომელიც, ამასთან, ვერც საჭიდაო ტრადიციებით დაიკვეხნის და ვერც ახლანდელი მიღწევებით. მოკლედ, კითხვა ბევრი იყო და ამიტომ დაცდა და ჩვენი ნაალბანეთარი ჭაბუკების მწვრთნელთან ვლადიმერ ადეიშვილთან შეხვედრა ვარჩიეთ. იგი, ახალჩამოსული, ფედერაციაში მოვიხელთეთ.

**— როგორ იჭიდავეს ბიჭებმა ტირანაში, საერთოდ როგორ შეაფასებდით გუნდის შედეგს?**

— სამი მედალი ჩამოვიტანეთ — ორი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოსი. ორმა ჩვენიანმა მეოთხე ადგილიც დაიკავა, ხოლო გუნდურ პირველობაში მეოთხენი ვიყავით 28 გუნდს შორის. ვერცხლის მედლები მოიპოვეს ლევან ოდიშარიამ და გელა ჩხაიძემ, ბრინჯაოსი — ირაკლი ჭოჭუამ.

თქვენი შეკითხვის მეორე ნაწილს რაც შეეხება, გუნდის გამოსვლით ძალიან კმაყოფილი ვარ. ტირანაში მყოფმა არაერთმა უცხოელმა სპეციალისტმა ქების სიტყვები არ დაიშურა ჩვენი გუნდის მისამართით, არც ტაშს გვაკლებდნენ, როცა რომელიმე ჩვენებური ყოჩაღობდა. ბევრჯერაც გაგვაგონეს, თქვენი ბიჭები ისე ჭიდაობენ, როგორც ქართველებს შეეფერებათო. განა სიტყვა რა არის, მაგრამ შედეგთან ერთად ესაც სასიამოვნოა. მაგრამ ჩემი მთავარი სათქმელი ეს არის: ცოტა ხელშეწყობაც რომ ყოფილიყო, შედეგი გაცილებით უკეთესი იქნებოდა. აბსოლუტურად მოუმზადებელი გუნდის კვალობაზე ბიჭებმა შეუძლებელი შეძლეს.

**— უცხოელთა ამდენი ქება და... არც ერთი ჩემპიონი...**

— მივიხვდით, რისი თქმაც გინდათ და არც პასუხის გაცემისა მერიდება — ჩემპიონი არ იყო, რადგან არ იყო მომზადება, მომზადება კი იმიტომ არ იყო, რომ არ იყო დაფინანსება. სამაგალითოდ რუსების გუნდზე გეტყვით, რომელმაც პირველი გუნდური ადგილიც დაიკავა და პირად პირველობაში ხუთი ჩემპიონიც ჰყავდა. ამ გუნდმა სამი შეკრება დიდების ნაკრებთან გაიარა, ორიც დამოუკიდებლად. გარდა ამისა, ოთხ საერთაშორისო ტურნირშიც იჭიდავეს. აღარაფერს ვამბობ თურქებსა და უკრაინელებზე, რომლებმაც მეორე-მესამე ადგილები დაიკავეს და პირობებიც რუსებზე უკეთესი აქვთ. ჩვენმა აბსოლუტურად მოუმზადებელმა გუნდმა კი რუსეთის ნაკრებთან გუნდურ პირველობაზე არცთუ ბევრით წააგო. ამიტომაც ვარ ყველას მადლიერი და ამიტომაც ვთვლი, რომ ამ ასაკის მსოფლიოს ჩემპიონატზეც, ეგვიპტეში, აგვისტოს ბოლოს, გუნდი სრული შემადგენლობით უნდა გაემგზავროს, თავად გუნდში კი შეიძლება ცვლილებები მოხდეს.

უშუალოდ ჩვენს პრიზიორებზე კი ამას გეტყვით: ჩხაიძემ ფინალი ულაპარაკოდ წააგო, ოდიშარიას კი მსაჯებმა წააგებინეს. ფინალში იგი რუსეთის ნაკრების სომეხ წევრს შეხვდა, მას ტირანაში მამა, პაპა და გულშემატკივართა მთელი არმია ჩამოყვა, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს მის გასამარჯვებლად.

**— ახლა რა ქვეყანაა ალბანეთი?**

— ალბანეთი ადრე რაც იყო, ყველამ კარგად ვიცით. რაც შეეხება ცხოვრების დღევანდელ დონეს, იგი მაღალი, ცხადია, ვერ იქნება. პოლიტიკურადაც ვერ არის დალაგებული. სათავეში სოციალისტები არიან, მათი ოპოზიცია — დემოკრატები კი ყოველდღე, ჩვენს სასტუმროსთანაც კი, მიტინგებს მართავდნენ. შეიძლება, უცხოელები რომ ვიყავით, ჩვენს დასანახად ეს შეგნებულადაც კეთდებოდა. საერთოდ, იქაური ვითარები ძალიან ჰგავს ჩვენს რამდენიმე წლის წინანდელს. საკმაოდ კარგ სასტუმროში ვცხოვრობდით, ოთხვარსკვლავიანის დონისაში. პირობები — კვებაც, მომსახურებაც, საერთოდ ყველაფერი, კარგი იყო და სასაყვედურო არაფერი გვაქვს. მაგრამ ზოგიერთი დელეგაცია, სხვა სასტუმროში რომ ცხოვრობდა, ძალიან უკმაყოფილო იყო. ისე კი, მომსახურების სფეროში, როგორც ვნახე, ძირითადად იტალიელები და თურქები საქმიანობდნენ და მათთან კომფორტიც გაცილებით მეტია.

მწვრთნელის ნაუბარს მხოლოდ ამას დავამატებ: მადლობა ღმერთს, ნიჭით ასე უხვად რომ გვაჯილდოებს. კარგი იქნებოდა, წინდახედულობის და გამჭრიახად საქმიანობის უნარი ნიჭის თუნდაც ნახევარი გამოგვყოლოდა. მაშინ შესაბამისი სტრუქტურები დეპარტამენტში თუ მის გარეთ უფრო მეტად გაირჯებოდნენ ჩვენი სპორტის მომავლის საკეთილდღეოდ, რაც ამჟამად ახალგაზრდა სპორტსმენების ფინანსურ უზრუნველყოფაზე ჰკიდია, თორემ ისე რა გამოდის? თავმჯდომარე რომ ხელს აწერს ბრძანებას ამა თუ იმ გუნდის ან სპორტსმენისთვის ფულის გამოყოფაზე, მოადგილე მას აუქმებს თანხების უქონლობის მოტივით (დავიჯეროთ, თავმჯდომარემ არ იცის თავისი უწყების შესაძლებლობები?), ათი კაცის ნაცვლად ორს უპირებენ გაგზავნას, ისიც უვარჯიშებლად და საკუთარ ნიჭს მინდობილი ჩვენი უვარჯიშებელი სპორტსმენებიც შიშველი ხელებით იპყრობენ მათ წილ ძნელ მწვერვალებს.

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი

# გამარჯვებისთვის განწირულნი

დევისის თასის მეოთხედფინალები

### გერმანია — შვედეთი

შვედეთის დევისის თასის გუნდის კაპიტან კარლ-აქსელ ჰაგესკოგს მიაჩნია, რომ ამ უქმეებზე ჰამბურგში გასამართი მეოთხედფინალური შეხვედრის ჰარდის საფარზე ჩატარებით გერმანელებმა სტუმრებს დიდი სამსახური გაუწიეს: „მოთამაშეები შესანიშნავ ფორმაში არიან, პირობებიც მშვენიერია და საფარი ჩვენი ასარჩევი რომ ყოფილიყო, სწორედ ასეთს ვამჯობინებდით."

გერმანიის გუნდის კაპიტანმა კარლ-უვე შტეებმა და მენეჯერმა ბორის ბეკერმა, რომელთაც 1988 და 1989 წლებში სწორედ იმხანად უძლიერესი შემადგენლობის — სტეფან ედბერგისა და მატს ვილანდერის პატრონი სკანდინაველებლის ძლევით მოიგეს მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი, ჰამბურგის როტენბაუმის სტადიონზე „ნელი ჰარდის" დაგება შეუკვეთეს. მაგრამ როდესაც თვის დასაწყისში კორტის მდგომარეობა შეამოწმეს, აღმოჩნდა, რომ ის მეტისმეტად სწრაფი იყო, ძირეული ცვლილებების განსახორციელებლად კი დრო აღარ რჩებოდა.

„შვედეთს საუკეთესო ჩოგბურთელები ნებისმიერი საფარისთვის მოეძებნება. თითოეული ჩვენგანი ჰარდზე თავს კომფორტულად გრძნობს, ამიტომ მეტოქეების სისუტეებზე ყურადღების გამახვილებას საკუთარი სიძლიერის გამოყენება სჯობდა" — განაცხადა შტეებმა.

რაც შეეხებათ თავად ჩოგბურთელებს, შვედები ერთეულებში იონას ბიორკმანისა (კლასიფიკაციით მე-9) და ტომას ენკვისტის (18-ე) დაყენებას აპირებენ, გერმანელები — ნიკოლას კიფერისა (27-ე) და ტომი ჰაასის (39-ე). მიუხედავად იმისა, რომ თავად ბეკერი გასულ კვირაში შვეიცარიის ღია პირველობის ფინალში გავიდა, მისი მონაწილეობა შეხვედრაში ალბათ მაინც დავიდ პრინოშიდან ერთად წყვილებში თამაშით ამოიწურება.



ბორის ბეკერი და ტომი ჰაასი ფეხბურთის თამაშით იქცევენ თავს

„არა მგონია, ბეკერმა ითამაშოს, მიუხედავად იმისა, რომ ეს ძალიან, გამახარებდა. იგი დიდი ჩოგბურთელია და მისი ხილვა საქმეში ყოველთვის სიამოვნებას მანიჭებს" — ეს სიტყვები რომელიმე გერმანელს კი არა, შვედების კაპიტან ჰაგესკოგს ეკუთვნის.

### ესპანეთი — შვეიცარია

ყველაზე არათანაბარი ძალის გუნდები სწორედ ამ წყვილში არიან. ესპანელებს გარდა იმისა, რომ თავიანთ რიგებში როლან გაროსის ორივე ფინალისტი — კარლოს მოია და ალექს კორეტხა ჰყავთ, თამაში ყველაზე სასურველ საფარზე — თიხნარზე მოუწევთ და თანაც ლაკორუნიელი გულშემატკივრების ქომაგობაც შეაგულიანებთ. რაღა გასაკვირია, საფრანგეთის ღია პირველობის ჩემპიონ მოიას თუ თავი ფავორიტად მიაჩნია: „შესანიშნავ ფორმაში ვართ და მიუხედავად იმისა, რომ მათი მხრიდან ბრძოლას მოველით, არა მგონია, რაიმე მოულოდნელობა მოხდეს."



ალექს კორეტხა მარკ როსეს ემუქრება

მოიას მოწინააღმდეგე პარასკევს პირველ მატჩში მსოფლიოს 144-ე ჩოგანი ივო ჰოიბერგერი იქნება, რომლის საუკეთესო მიღწევა თებერვალში ვოლფბურგში გამართული ჩელენჯერის მოგება გახლავთ. ერთადერთი იმედი ნეიტრალური ქვეყნის წარმომადგენელთათვის მათი პირველი ჩოგანი მარკ როსეა, რომელიც იაკობ ჰლასეკის პენსიაში გასვლას შემდეგ მშობლიურ გუნდს ლამის მარტო მიათრევს ზურგით. თუმცა ამჟამად 27 წლის როსესაც კრიზისი უდგას და თანაც თავის მეტოქე ალექს კორეტხასთან ხუთიდან ოთხი პირადი შეხვედრა აქვს წაგებული.

„ერთადერთი, რაც მაწუხებს, ისაა, როგორმე კონცენტრაცია შევინარჩუნო. თუ თავიდანვე კარგად ვითამაშებთ, დარწმუნებული ვარ, მოვიგებთ" — განაცხადა კორეტხამ, რომელმაც კვირას შვეიცარიის ღია პირველობაზე გაიმარჯვა.

კორეტხას, წესით და რიგით, წყვილებშიც უნდა ეთამაშა, მაგრამ ესპანელთა კაპიტანმა მანოლო სანტანამ ბოლო მომენტში გადაწყვეტილება შეცვალა და ხავიერ სანჩესისა და ხულიან ალონსოს დუეტის გამოყვანა არჩია, კორეტხას კი შაბათს დასვენების შესაძლებლობა მისცა: „ჩვენ ფინალში გასვლის შესანიშნავი შანსი გვაქვს, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ უბრძოლველად არავინ არაფერს დათმობს".

### აშშ — ბელგია

ამ წყვილში ფავორიტად, რაღა თქმა უნდა, ჩრდილოამერიკელები ითვლებიან. მიუხედავად იმისა, რომ მათ საუკეთესო ჩოგბურთელებს — პიტ სამპრასსა და მაიკლ ჩანგს პატრიოტული გრძნობები გულს მაინცდამაინც არ უჩქროლებთ და თავიანთი ქვეყნის სახელით ასპარეზობისთვის მოწადინებულნი წელიწადში ერთხელ — ფინალში გასვლის შემთხვევაში თუ არიან, დანარჩენი ამერიკელებიც სერიოზულ ძალას წარმოადგენენ. პირველად 1992 წლის შემდეგ აშშ-ის გუნდი წინა მატჩის დარი შემადგენლობით იასპარეზებს — ანდრე აგასითა და ჯიმ კურიეთი ერთეულებში, წყვილებში კი ტოდ მარტინ—რიჩი რენებერგის დუეტით.

„ისინი გუნდის ერთგულნი არიან. ვფიქრობ, დევისის თასზე ყველაზე მნიშვნელოვანი იმ ჩოგბურთელებით თამაშია, რომელთაც მართლაც სურთ აქ ყოფნა და გუნდური ასპარეზობისთვის საჭირო ჟინი გააჩნიათ" — აცხადებს კაპიტანი ტომ გალიქსონი, რომელიც ამ ბოლო ხანებში სამპრასს შემოსწყრა.

რაც შეეხებათ ბელგიელებს, მათ ინდიანაპოლისში ოთხი ჩოგბურთელი წაიყვანეს — ფილიპ დევულფი, იოჰან ვან ჰერკი, კრისტოფ ვან გარსი და ქსავიე მალისი. ამათგან ჰერკს ისევ აწუხებს წლევანდელ უიმბლდონზე მიღებული ფეხის ტრავმა, მალისი კი ჯერ 17 წლისაა და თავი მხოლოდ იმით გამოიჩინა, რომ გაზაფხულზე პიტ სამპრასს ერთ-ერთ ტურნირზე დიდი ბრძოლა გაუჩაღა (თუმცა მაინც დამარცხდა). თანაც ამერიკელებისგან განსხვავებით, რომელთათვის ჰარდი მშობლიური საფარია, ევროპელები თიხნარზე არიან გაზრდილნი.

„აშშ-ზე ძლიერი გუნდი შეიძლება არავის ჰყავდეს, ჩვენთვის კი ეს დიდი გამოცდილება იქნება. ბელგიისგან გამარჯვებას არავინ მოელის, ამიტომ ჩვენ სრულებით არ ვიქნებით დაძაბულნი, თუმცა გვწამს, რომ გამარჯვების შანსი მაინც გვაქვს" — მიაჩნია ევროპელთა კაპიტან კეონ გონისენს, რომელმაც გუნდი თავის ისტორიაში პირველად გაიყვანა ასე შორს.

### იტალია — ზიმბაბვე

ყველაზე სუსტი მეოთხედფინალური წყვილის შეხვედრა იტალიურ პრატოში შედგება. ზიმბაბვეს გუნდს, რომელმაც პირველ წრეში სენსაციური გამარჯვება იზეიმა ავსტრალიელებზე, ისევ მხოლოდ იმ მატჩის გმირები — ძმები ბაირონ და უეინ ბლექები წარმოადგენენ, იტალიელებს კი შემადგენლობაში გარკვეული ცვლილებები ექნებათ: ერთეულებში ისინი ანდრეა გაუდენცის და უიმბლდონის მეოთხედფინალისტ დავიდე სანგვინეტის ათამაშებენ.

**ავთანდილ სვანიძე**

მშვილდოსნობა

# ხათუნას და ამერიკას ერთმანეთი მოსწონთ

სროლა-მშვილდოსნობის ფედერაციაში მისულმა ახალი ამბავი შევიტყვე — თურმე ჩვენს მშვილდოსანს ხათუნა ქვრივიშვილს ამერიკელებმა თავიანთი ქვეყნის სახელით ასპარეზობა შესთავაზეს.

ვინაიდან ფედერაციის დიდმოხელენი ამჟამად ამ სახეობის საერთაშორისო ფედერაციის გენერალურ ასამბლეაში მონაწილეობის მისაღებად არიან გაკრეფილნი, ფედერაციაში მთლად ზუსტი პასუხი ვერავინ გაგვცა. სიტუაციაში გასარკვევად ხათუნას მამასაც შევეხმიანე და ორივე მხარის მოსმენის შემდეგ ასეთი სურათი მივიღე: ხათუნას კარგი შედეგებით მოუხიბლავს ამერიკელები, განსაკუთრებით კი იმ კლუბის ხელმძღვანელი, სადაც ის ამჟამად გამოდის. სწორედ მას დაუყენებია ამერიკის ოლიმპიურ კომიტეტში საკითხი ხათუნას ამერიკის ნაკრებში გადაყვანის შესახებ, რათა მომავალ, სიდნეის ოლიმპიადაზე აშშ-ის სახელით იასპარეზოს. იქაურ ოლიმპიურ კომიტეტსაც ეს იდეა, ეტყობა, ჭკუაში დაუჯდა და მსგავსი თხოვნის შემცველი კერძო წერილით შეხმიანებია თავის აქაურ კოლეგებს. ამათ შეუთვლიათ, ოფიციალური მოთხოვნა გამოაგზავნეთო, რაც ამერიკელებმა შეასრულეს კიდეც. ამის შემდეგ ქართული მხარე, ფაქტობრივად, დათანხმებულა ქვრივიშვილის გაშვებას, ოღონდ ერთი პირობით — ქართულ-ამერიკულ მხარეებს შორის გაფორმებულიყო 50 000 დოლარიანი კონტრაქტი (ჩემთვის, ცოტა არ იყოს, გაუგებარი დარჩა, რა კონტრაქტზე შეიძლება იყოს ამ დროს ლაპარაკი). ამ წინადადებას ამერიკულმა მხარემ ცოტა ხნის დუმილით უპასუხა, შემდეგ კი მეორე ფაქსი აფრინა თბილისში, თუ ქვრივიშვილს დაგვითმობთ, ათი მშვილდ-ისრის კომპლექტს გიყიდითო, ეს კი 20 000 დოლარის საქმეა მხოლოდ. ამ ფაქსზე ქართული მხარის პასუხი ჯერ უცნობია.

აი, სულ ეს არის, რაც მიკითხ-მოკითხვით შევიტყვეთ. ხათუნას მამის ჯემალ ქვრივიშვილისგან ისიც გავიგეთ, რომ მისი მეუღლე ამჟამადაც ამერიკაშია ხათუნასთან ამ საქმის გასარკვევად, თავად ხათუნა კი ყაბულს ყოფილა ამერიკის ნაკრებში ასპარეზობაზე.

**ირაკლი თავაძე**

ველორბოლა

TOUR DE FRANCE

მე-4 ეტაპი. პლუეიდან შოლემდე. 252 კმ

მეოთხე ეტაპის შემდეგ „ტურ დე ფრანსს" კიდევ ერთხელ შეეცვალა ლიდერი — ყვითელი მაისური ამჯერად ავსტრალიელმა სტიუარტ ოგრეიდიმ მოირგო, რომელსაც ოზთაგან ოდენ მეორეს მიუღწევია ასეთი წარმატებისთვის.

ოგრეიდი ეტაპის წინ საერთო ჩათვლაში ბო ჰამბურგერს მხოლოდ 3 წამით ჩამორჩებოდა, ამიტომ მისმა გუნდმა „განმა" თავიდანვე ავსტრალიელის გალიდერებაზე გაამახვილა ყურადღება და ორი საშუალედო ფინიშის პირველად გადაკვეთით 16 წამიც მოაგებინა. ოგრეიდის პირველობა საფრთხეში ორი ფრანგი ვეტერანის — ჟაკი დიურანისა და დამიენ ნაზონის გაქცევამ კი ჩააგდო, მაგრამ 117-კილომეტრიანი სოლო რეიდის შემდეგ პელოტონი ამ დუეტს მაინც დაეწია და „განის" თავკაცმა როჟე ლეგეიმაც შვებით ამოისუნთქა: „იგი შვილივით მყავს, მას შემდეგ, რაც 21 წლისა 23 000 კილომეტრის სიშორიდან ჩამოვიდა საფრანგეთში. კრისის გამო („განელი" კრის ბორდმანი წლევანდელ ტურს ლიდერობდა, მაგრამ ტრავმის გამო მისი მიტოვება მოუხდა) ყველა დამწუხრებული ვიყავით და სტიუარტმა ხასიათი გამოგვიკეთა."

თავად ტურის უგრძესი ეტაპის გამარჯვებული კი ჰოლანდიელი იერონ ბლაიალევენსი გახდა.

მე-4 ეტაპი: 1. ბლაილევენსი — 5:48,32; 2. ნიკოლა მინალი (იტალია); 3. იან სკორადა (ჩეხეთი); 4. ფრედერიკ მონკასინი (საფრანგეთი); 5. ანდრეი ჩმილი (ბელგია) — ყველას იგივე დრო.

მე-5 ეტაპი. შოლედან შატორუმდე 228,5 კმ

როგორც იქნა, ელირსა თავის გამოჩენა წლევანდელ „ტურ დე ფრანსზე" სპრინტის მეფე მარიო ჩიპოლინისაც. ვეტერანმა იტალიელმა ბოლო 150 მეტრში შესაშური სისწრაფე და მოხერხებულობა გამოიჩინა, რამდენიმე მრბოლს შორის გაძვრა, წინ გაჭრილ გერმანელ ერიკ ცაბელსაც გადაასწრო, თუმცა, დიდი აღტაცება ამ შესანიშნავი გამარჯვებით მაინც არ გამოუთქვამს: „ამ წარმატებით მაინცდამაინც კმაყოფილი არა ვარ, რადგან ჩემი ახლანდელი ფორმის გათვალისწინებით აქ გაცილებით მეტი ეტაპის მოგება შემეძლო." ხელი კი მარიოს იმან შეუშალა, რომ მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ რბოლაზე უკვე ორჯერ მოასწრო დაცემა და ძვალ-რბილის გაერთიანება.

ამასობაში კი „ფესტინას" გარშემო ამტყდარი სკანდალი არ ცხრება. გასულ კვირაში აკრძალული ნივთიერებების კონტრაბანდის გამო დაპატიმრებული გუნდის თანამშრომლის საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით მისი თავკაცი ბრუნო რუსელიც დაჰკითხეს და დააკავეს, ტურის ორგანიზატორებმა კი თავის მხრივ ინფორმაციის დროზე მიუწოდებლობისთვის ეს უკანასკნელი დროებით მოკვეთეს კიდეც.

მე-5 ეტაპი: 1. ჩიპოლინი — 5:18,49; 2. ცაბელი; 3. კრისტოფ მენგენი (საფრანგეთი); 4. ანდრეა ფერიგატო (იტალია); 5. ფილიპ გომონი (საფრანგეთი) — ყველას იგივე დრო

საერთო ჩათვლა: 1. ოგრეიდი — 25:02,18; 2. ჯორჯ ჰინკანი (აშშ) +7,3, ჰამბურგერი +11; 4. იენს ჰეპნერი (გერმანია) +14; ქსავიე ჟანი (საფრანგეთი) +32

# საუკუნის შედეგები

ერთი კვირაც არ არის, რაც საფრანგეთის სტადიონებზე მსოფლიოს მეთექვსმეტე ჩემპიონატი დასრულდა. დღეს უკვე შეიძლება საუბარი იმაზე, რა მისცა (ესთეტიკური სიამოვნების გარდა) მან მსოფლიოს. მითუფრო, რომ ეს პირველობა მეოცე საუკუნეში ბოლო იყო.

გარდა ამისა შეიძლება მთელი საუკუნის შეჯამებაც. ცხრილს, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ, ამ შეჯამებისთვის სამსახურის გაწევა შეუძლია. აქ ჩამოთვლილია თექვსმეტივე ჩემპიონატში მონაწილეობამიღებული ქვეყნები, მითითებულია თითოეულმა რამდენში იასპარეზა, რამდენ შეხვედრაში გავიდა მოედანზე, რამდენჯერ გაიმარჯვა, რამდენჯერ წააგო და რამდენჯერ ვერც მოიგო — არც წააგო. ბოლოს, ორქულიანი სისტემით ჯამური მონაგარიცაა ნაჩვენები.

| | ჩმ | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბრაზილია | 16 | 80 | 53 | 14 | 13 | 173:78 | 120 |
| 2. გერმანია | 14 | 78 | 44 | 18 | 16 | 162:103 | 106 |
| 3. იტალია | 14 | 66 | 38 | 16 | 12 | 105:62 | 92 |
| 4. არგენტინა | 12 | 57 | 29 | 10 | 18 | 100:69 | 68 |
| 5. ინგლისი | 10 | 45 | 20 | 13 | 12 | 62:42 | 53 |
| 6. საფრანგეთი | 10 | 41 | 21 | 6 | 14 | 86:59 | 48 |
| 7. ესპანეთი | 10 | 40 | 16 | 10 | 14 | 61:48 | 42 |
| 8. იუგოსლავია | 9 | 37 | 16 | 8 | 13 | 60:44 | 40 |
| 9. სსრკ | 8 | 34 | 16 | 6 | 12 | 60:40 | 38 |
| 10. ურუგვაი | 9 | 37 | 15 | 8 | 14 | 61:52 | 38 |
| 11. ჰოლანდია | 7 | 32 | 14 | 9 | 9 | 56:36 | 37 |
| 12. შვედეთი | 9 | 38 | 14 | 9 | 15 | 66:60 | 37 |
| 13. უნგრეთი | 9 | 32 | 15 | 3 | 14 | 87:57 | 33 |
| 14. პოლონეთი | 5 | 25 | 13 | 5 | 7 | 39:29 | 31 |
| 15. ავსტრია | 7 | 29 | 12 | 4 | 13 | 43:47 | 28 |
| 16. ჩეხოსლოვაკია | 8 | 30 | 11 | 5 | 14 | 44:45 | 27 |
| 17. მექსიკა | 11 | 37 | 8 | 10 | 19 | 39:75 | 26 |
| 18. ბელგია | 10 | 32 | 9 | 7 | 16 | 40:56 | 25 |
| 19. ჩილე | 7 | 25 | 7 | 6 | 12 | 31:20 | 20 |
| 20. რუმინეთი | 7 | 19 | 7 | 4 | 8 | 25:28 | 18 |
| 21. შვეიცარია | 7 | 22 | 6 | 3 | 13 | 33:51 | 15 |
| 22. შოტლანდია | 8 | 23 | 4 | 7 | 12 | 25:41 | 15 |
| 23. პარაგვაი | 5 | 15 | 4 | 6 | 5 | 19:27 | 14 |
| 24. ბულგარეთი | 6 | 26 | 3 | 8 | 15 | 22:53 | 14 |
| 25. პორტუგალია | 2 | 9 | 6 | 0 | 3 | 19:12 | 12 |
| 26. კამერუნი | 4 | 14 | 3 | 6 | 5 | 13:26 | 12 |
| 27. დანია | 2 | 9 | 5 | 1 | 3 | 19:13 | 11 |
| 28. პერუ | 4 | 15 | 4 | 3 | 8 | 19:31 | 11 |
| 29. ჩრდ. ირლანდია | 3 | 13 | 3 | 5 | 5 | 13:23 | 11 |
| 30. ხორვატია | 1 | 7 | 5 | 0 | 2 | 11:5 | 10 |
| 31. აშშ | 6 | 17 | 4 | 1 | 12 | 18:38 | 9 |
| 32. ნიგერია | 2 | 8 | 4 | 0 | 4 | 13:13 | 8 |
| 33. კოლუმბია | 4 | 13 | 3 | 2 | 8 | 14:23 | 8 |
| 34. მაროკო | 4 | 13 | 2 | 4 | 7 | 12:18 | 8 |
| 35. ნორვეგია | 3 | 8 | 2 | 3 | 3 | 7:8 | 7 |
| 36. ირლანდია | 2 | 9 | 1 | 5 | 3 | 4:7 | 7 |
| 37. გდრ | 1 | 6 | 2 | 2 | 2 | 5:5 | 6 |
| 38. ალჟირი | 2 | 6 | 2 | 1 | 3 | 6:10 | 5 |
| 39. უელსი | 1 | 5 | 1 | 3 | 1 | 4:4 | 5 |
| 40. კოსტა-რიკა | 1 | 4 | 2 | 0 | 2 | 4:6 | 4 |
| 41. ტუნისი | 2 | 6 | 1 | 2 | 3 | 4:6 | 4 |
| 42. კორეა | 5 | 14 | 0 | 4 | 10 | 11:43 | 4 |
| 43. კსდრ | 1 | 4 | 1 | 1 | 2 | 5:9 | 3 |
| 44. კუბა | 1 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:12 | 3 |
| 45. ირანი | 2 | 6 | 1 | 1 | 4 | 4:12 | 3 |
| 46. თურქეთი | 1 | 3 | 1 | 0 | 2 | 10:11 | 2 |
| 47. იამაიკა | 1 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:9 | 2 |
| 48. ჰონდურასი | 1 | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| 49. ისრაელი | 1 | 3 | 0 | 2 | 1 | 1:3 | 2 |
| 50. სამხ. აფრიკა | 1 | 3 | 0 | 2 | 1 | 3:6 | 2 |
| 51. ეგვიპტე | 2 | 4 | 0 | 2 | 2 | 3:6 | 2 |
| 52. კუვეიტი | 1 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:6 | 1 |
| 53. ავსტრალია | 1 | 3 | 0 | 1 | 2 | 0:5 | 1 |
| 54. ბოლივია | 3 | 6 | 0 | 1 | 5 | 1:20 | 1 |
| 55. ერაყი | 1 | 3 | 0 | 0 | 3 | 1:4 | 0 |
| 56. იაპონია | 1 | 3 | 0 | 0 | 3 | 1:4 | 0 |
| 57. კანადა | 1 | 3 | 0 | 0 | 3 | 0:5 | 0 |
| 58. ანტილიის კუნძ. | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:6 | 0 |
| 59. საამიროები | 1 | 3 | 0 | 0 | 3 | 2:11 | 0 |
| 60. ახ. ზელანდია | 1 | 3 | 0 | 0 | 3 | 2:12 | 0 |
| 61. საბერძნეთი | 1 | 3 | 0 | 0 | 3 | 0:10 | 0 |
| 62. ჰაიტი | 1 | 3 | 0 | 0 | 3 | 2:14 | 0 |
| 63. ზაირი | 1 | 3 | 0 | 0 | 3 | 0:14 | 0 |
| 64. სალვადორი | 2 | 6 | 0 | 0 | 6 | 1:22 | 0 |




საბრალო რონალდოს ყოველი მხრიდან უტევენ. მას კი არავის დანახვა არ სურს

# ფოგთსმა ბოდიში მოიხადა

გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გუშინ ოფიციალური განცხადება გააკეთა, რომელშიც ფიფასა და პირადად მის პრეზიდენტ ზეპ ბლატერს ულრმესი ბოდიში მოუხადა.

საქმე იმაშია, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე გერმანელთათვის საბედისწერო მეოთხედფინალურ შეხვედრაში ხორვატთა წინააღმდეგ მთავარმა არბიტრმა მოედნიდან ვიორნსი გააძევა, რამაც თამაშზე უდიდესი გავლენა იქონია და ფოგთსის გუნდი საბოლოოდ 0:3 დამარცხდა.

მატჩის შემდეგ ბერტი ფოგთსს დანა პირს არ უხსნიდა. ჟურნალისტებთან საუბარში იგი მეტად სიტყვაძუნწი გახლდათ და ერთადერთი, რის თქმასაც ახერხებდა, ეს ფიფას წარმომადგენლების მიმართ შეურაცხმყოფელი სიტყვები იყო. მოკლედ, გერმანელი მსაჯობით, მსუბუქად რომ ვთქვათ, უკმაყოფილო დარჩა და ეს ყველაფერი მსოფლიოს ფეხბურთის მამებს გადააბრალა.

ერთის მხრივ ფოგთსის საქციელი გასაგებია, ხორვატებთან მატჩი გერმანიის გუნდმა მართლაც კარგად დაიწყო და მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში საგრძნობ უპირატესობას ფლობდა. აი, რიცხობრივ უმცირესობაში დარჩენის შემდეგ კი ინიციატივა მთლიანად მეტოქეს გადაულოცა, რამაც ისინი საბოლოო განადგურებამდე მიიყვანა. უეჭველია, ვიორნსის გაგდებამ შეხვედრის მიმდინარეობა კარდინალურად შეცვალა, მაგრამ... ბრძოლის შემდეგ ხელებს არ იქნევენო, ნათქვამია. ფოგთსს კი ბევრი რამ შეეშალა და გერმანელისთვის უჩვეულო საქციელი იკადრა.

მწვრთნელმა მაშინ ისიც კი დაიჩივლა, ფიფა ასე დაუნდობლად განზრახ მოგვექცა, გერმანია ხომ აქამდე მსოფლიოს ჩემპიონი სამჯერ იყო, რაც ჩინოვნიკებს გულზე დიდად არ ეხატებათ და შეთქმულებაც ამიტომ მოგვიწყვესო.

თუმცა გუშინ ფოგთსი სხვაგვარად აჭიკჭიკდა. ეტყობა, მიხვდა, მისი ბებერი გუნდის მარცხის სხვებისთვის გადაბრალება მთლად გამართლებული რომ არ იყო და საჯაროდ ბოდიში მოიხადა.

— მას შემდეგ, რაც გერმანელთა თავკაცმა ხორვატიასთან წაგებული მეოთხედფინალის დროს ფიფას შეურაცხყოფა მიაყენა, მან რამდენჯერმე სცადა ბლატერთან დაკავშირება, რათა მომხდარის გამო თავისი სინანული გამოეთქვა, მაგრამ, სამწუხაროდ, პრეზიდენტი აქამდე მეტად დაკავებული გახლდათ და საკუთარ რეზიდენციაში არ ბრძანდებოდა — იტყობინება ფიფას განცხადება, რომელშიც შემდგომ ვკითხულობთ:

— ბოლოს და ბოლოს, ფოგთსმა შეძლო ზეპის მოხელთება და მასთან საკმაოდ ვრცელი სატელეფონო საუბარიც გამართა. ეს ხუთშაბათს მოხერხდა, როდესაც ბლატერი პარიზიდან შვეიცარიულ ციურიხში დაბრუნდა.

თავად იოზეპ ბლატერის ოფისიდან გავრცელებული ინფორმაციაც გერმანელი მწვრთნელისადმი პატივისცემას გამოხატავს.

— ბერტი ფოგთსმა ნამდვილი ჯენტლმენური ხასიათი გამოავლინა. მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ჭეშმარიტად სპორტული სულის პატრონია. მე უდიდეს პატივს ვცემ მას, როგორც შეუდარებელ ფეხბურთელს, მწვრთნელსა და პიროვნებას. ჩვენ მეტად თბილი საუბარი გვქონდა, რომლის დროსაც არაერთი საინტერესო საკითხი მიმოვიხილეთ. მოკლედ, იგი ღირსეულად მოიქცა და ახლა დარწმუნებით მინდა გითხრათ, რომ ჩვენს შორის ყოველგვარი უთანხმოება წარსულს ჩაბარდა — ამბობს ბლატერი.




ფოგთსმა ბლატერთან უბრად ყოფნას ისევ ბოდიშის მოხდა არჩია

საგულისხმოა, რომ გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის (DFB) პრეზიდენტი ეგიდიუს ბრაუნი ფოგთსს გამუდმებით სთხოვდა, ამ უკანასკნელს თავისი კრიტიკული გამონათქვამების გამო ბოდიში მოეხადა. ნაკრების მთავარი მწვრთნელი, რომელიც, სხვათა შორის, ამ პოსტზე 1990 წლის შემდეგ იმყოფება, არც გერმანულმა მედიამ დაინდო: გარდა იმისა, რომ მას გუნდის უფერულ გამოსვლაში დასდეს ბრალი, მწვრთნელს არც ფიფასადმი უგვანო საქციელი მოუწონეს. ძირითადად გერმანელთა აღშფოთების მიზეზი იმ გახლდათ, რომ ამ ქვეყანას 2006 წლის მსოფლიოს პირველობის მასპინძლობა სურს და აქედანვე ფიფას დიდმოხელეთა მომდურება მათ კარგს არაფერს მოუტანთ.

დაბოლოს, ხვალ გერმანიის ფეხბურთის ფედერაცია ფრანკფურტში მორიგი სხდომის გამართვას გეგმავს, რომელზეც ძირითადად წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე ქვეყნის ეროვნული გუნდის ასპარეზობას განიხილავენ და ნაკრების ხელმძღვანელებისგან წარუმატებლობის მიზეზებს მოისმენენ.

# დაანებეთ რონალდოს თავი!

მსოფლიოს ჩემპიონატი უკვე რამდენიმე დღეა, დასრულდა და საფეხბურთო სამყაროც ნელ-ნელა ჩვეული ცხოვრების რიტმს უბრუნდება. თუმც ამას ვერაფრით ვიტყვით ბრაზილიელ სუპერვარსკვლავ რონალდოზე. ვინ მოთვლის, უკვე მერამდენედ ვამახვილებთ ამ ფაქტზე ყურადღებას. საბრალო თავდამსხმელი ფინალური მატჩის შემდეგ ცნობისმოყვარე ბრაზილიელი ჟურნალისტების გამუდმებული დევნის ობიექტი შეიქნა და საქმე იქამდე მიუვიდა, რომ საკუთარ სახლში ნორმალურად ვეღარ მოუსვენია.

ასეთი ვითარება არ შეიძლებოდა, დიდ ხანს გაგრძელებულიყო. ბოლოს და ბოლოს რონალდოც ხომ ადამიანია და თანაც საკმაოდ ახალგაზრდა. იგი ამდენ ხანს მორჩილად ითმენდა პრესისა თუ ტელევიზიის წარმომადგენელთა გამუდმებულ გამოხდომებს, მაგრამ გუშინწინ ვერც მან მოთოკა ნერვები. საღამო ხანს, როდესაც ფეხბურთელი სახლიდან გამოვიდა და საკუთარ მანქანაში ჩასაჯდომად მოემზადა, მას როგორც ყოველთვის, იქვე მოდარაჯე ფოტორეპორტიორი შეეგება და სენსაციური ფოტოს გადაღების სიხარულით ანთებული გამალებით შეუდგა თავის საქმეს. რონალდოს, რა თქმა უნდა, არ ეჭაშნიკა აბეზარი მომხვდურის თავხედური ქცევა და უხეშად მოიშორა თავიდან.

— კიდევ რამდენ ხანს უნდა გააგრძელოთ ჩემი დევნა? ეს ცხოვრებაა თუ სატანჯველი? მე, გარდა ფეხბურთელობისა, თითოეული თქვენგანის მსგავსად ჩვეულებრივი პიროვნება ვარ, რომელსაც მშვიდი გარემო უყვარს — გაბრაზებით უყვირა გაცეცხლებულმა 21 წლის მოთამაშემ გაოგნებულ რეპორტიორს და მანქანის კარი ცხვირწინ მიუჯახუნა.

ამ დღეებში ბრაზილიური გაზეთები გადაჭედილია მასალებით, რომლებიც ძირითადად რონალდოს გონებრივ და ფიზიკურ ჯანმრთელობას ეხება. ეს ყოველივე თავად ფეხბურთელის მიერ ფინალის მეორე დღეს გაკეთებულმა განცხადებებმა გამოიწვია. გახსოვთ, ალბათ, მაშინ ფორვარდი ჟურნალისტებს გამოუტყდა, მატჩის წინ კრუნჩხვები დამეწყო და საშინელ მდგომარეობაში ჩავვარდიო.

რონალდო მაშინვე პარიზის ერთ-ერთ საავადმყოფოში გააქანეს და ყოველმხრივ გამოიკვლიეს. და, მიუხედავად იმისა, რომ მისი მოედანზე გასვლა მიზანშეწონილი არ იყო, ფეხბურთელმა თავისი არ დაიშალა და ფინალური შეხვედრა თავიდან ბოლომდე შეუცვლელად ჩაატარა.

სიტუაცია, რომელიც ბრაზილიელთა გასახდელში სუფევდა თამაშის დაწყებამდე თუ მთელი მისი მიმდინარეობის პროცესში, სამხრეთამერიკაში უდიდეს ინტერესს იწვევს, რასაც ის ვითარებაც აძლიერებს, რომ ამის ირგვლივ არც ერთი მოთამაშე არაფერს ამბობს და ყოველივე იდუმალებითაა მოცული.

„რა მოხდა? რონალდო თუ კარგ ფორმაში არ იყო, ზაგალომ თამაშის ნება რად დართო? ნუთუ რომელიმე სხვა ფეხბურთელი ვერ გასწევდა ავადმყოფი სუპერბიჭუნას მაგივრობას? უხასიათოდ მყოფმა რონალდომა ხომ ვერც თვითონ იხეირა და თანაგუნდელებიც გაუგებრობაში ჩააგდო" — ამგვარი კითხვები კორიანტელი დაატრიალა გაზეთმა „ფოლია დე სან პაულუმ", რომელმაც პირველ გვერდზე რონალდოს უზარმაზარი ფოტო გამოჭიმა, ვის ფონზეც გიგანტური კითხვის ნიშანია დასმული.

ყოველდღიური „ჟურნალ დე ბრაზილიას" ცნობით, შინ დაბრუნებულმა რონალდომ ბრაზილიის პრეზიდენტ ფერნანდო ენრიკე კარდოსოსთან პირადი შეხვედრა მოითხოვა. გაზეთმა ქვეყნის პირველი პირისა და პირველი ფეხბურთელის ფოტოც დაბეჭდა და ქვეშ რონალდოს ტელეფონის ნომერი მიაწერა.

ამ დროს ყველაზე დიდი ბრძოლების გადატანა ბრაზილიის ნაკრების ექიმ ლიდიო ტოლედოს უწევს. რონალდოს ჯანმრთელობის შესახებ ამ კაცმა ხომ ყველაფერი იცის. თუ მის სიტყვებს ვენდობით, „ფეხბურთელის მდგომარეობა ფინალის დღეს მეტად დამაფიქრებელი გახლდათ. იმის თქმა ზუსტად, რა სჭირდა ჯერჯერობით არ შემიძლია. ერთადერთი, რაშიც ღრმად ვარ დარწმუნებული, ის არის, რომ რონალდომ რაღაც გარკვეული ხანი მოედანზე გასვლისგან თავი უნდა შეიკავოს. სულ მალე მას ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო საავადმყოფოში გავაგზავნით, სადაც იგი ნევროლოგთან გაივლის გამოკვლევას" — განაცხადა ტოლედომ ოთხშაბათს „გლობს ნიუს ტელევიზიონისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

**ირაკლი ხმელიძე**


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი**
**ზურაბ ფოცხვერია**
**რედაქტორი**
**თამაზ მიგრიაული**
**ტექნიკური რედაქტორი**
**გურამ ხელაშვილი**
**სარედაქციო კოლეგია:**
**ილია ბაბუნაშვილი**
**ვახტანგ ბზიკაძე**

**ფეხბურთის განყოფილება:** ლაშა გოდუაძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, დავით კოზირიძე, ონისე შინჯიკაშვილი, ირაკლი ხმელიძე

**სხვა სახეობათა განყოფილება:** გიო აზვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი, სოსო კოტორეიშვილი, ავთანდილ სვანიძე

**კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე

**ფოტორეპორტიორები:** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე

**სტილისტები:** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

**კომპიუტერული ცენტრი:** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი

**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**დირექტორი**
**გიორგი ოქრომჭედლიძე**

**დამფუძნებელი:** შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29